მანათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი

ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

*(დაწესებულების სტატუსის მაძიებლის საფირმო სახელწოდება)*

ა(ა)იპ „სენაკის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის გაერთიანება

*(პროგრამ(ებ)ის განხორციელების ადგილის სახელწოდება (არსებობის შემთხვევაში)*

სენაკის გეჯეთის საბავშვო ბაღი

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე:

ხარისხის ექსპერტი: *სახელი, გვარი* *მაკა ჭყონია*

წევრები:

კურიკულუმის ექსპერტი: *სახელი, გვარი* თეა ქემოკლიძე

კვების დარგში ექსპერტი: *სახელი, გვარი* მარიამ ექვთიმიშვილი

სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების ექსპერტი: *სახელი, გვარი* სალომე ბოჭორიშვილი

# ნაწილი I. ზოგადი ინფორმაცია

| 1. ინფორმაცია ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ | |
|---|---|
| სამართლებრივი ფორმა | არასამეწარმეო ( არაკომერციული) იურუდიული პირი |
| საფირმო სახელწოდება | ა(ა)იპ „სენაკის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის გაერთიანება |
| საიდენტიფიკაციო ნომერი | **239892434** |
| პროგრამ(ებ)ის განხორციელების ადგილის სახელწოდება | სენაკის გეჯეთის საბავშვო ბაღი |

| | |
|---|---|
| *(არსებობის შემთხვევაში)* | |
| სახელწოდება ინგლისურ ენაზე<br>*(არსებობის შემთხვევაში)* | |
| სექტორი | საჯარო |
| ინფორმაცია მოთხოვნილი სტატუსის შესახებ | სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულება |
| **2. საკონტაქტო ინფორმაცია ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ** | |
| იურიდიული მისამართი<br>*(მუნიციპალიტეტი, ქალაქი/დაბა/სოფელი/ქუჩა და N)* | **სენაკის მუნიციპალიტეტი, ქალაქ სენაკი , ტ. ტაბიძის ქ.#60** |
| პროგრამ(ებ)ის განხორციელების ფაქტობრივი მისამართი<br>*(მუნიციპალიტეტი, ქალაქი/დაბა/სოფელი/ქუჩა და N)* | **სენაკის მუნიციპალიტეტი, ქალაქ სენაკი, სოფ. გეჯეთი მე-2 ქუჩა,N1** |
| დაწესებულების სტატუსის მაძიებლის ვებ-გვერდი<br>*(არსებობის შემთხვევაში)* | |
| **3. ინფორმაცია დაწესებულების ავტორიზაციის შესახებ** | |
| დაწესებულების ავტორიზაცია (პირველადი)☒ | დაწესებულების ავტორიზაცია (განმეორებითი)☐ |
| **4. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ** | |
| ვიზიტის საფუძველი<br>*(ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი)* | ბრძ: MES 7 26 0000304917 12/03/2026 წელი<br>ბრძ: MES 7 26 0000347640 23/03/2026 წელი |

| ვიზიტის პერიოდი *(თარიღი)* | 7-8 აპრილი 2026 წელი |
|---|---|

## 5. ინფორმაცია ბავშვების შესახებ (ცხრილი არ ივსება პირველად ავტორიზაციაზე)

| წინა ავტორიზაციის ფარგლებში საბჭოს მიერ განსაზღვრული ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობა | ჩარიცხული ბავშვების რაოდენობა |
|---|---|
| | |

## 6. ინფორმაცია ადრეული აღზრდისა და განათლების დაწესებულების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებლის პროგრამ(ებ)ის შესახებ

საქართველოს მთავრობის 2023 წლის 21 თებერვლის №76 დადგენილების დანართი №1-ის სახით დამტკიცებული ***"ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების მიერ ავტორიზაციის გავლის, აგრეთვე დაწესებულების ავტორიზაციის შეჩერებისა და შეწყვეტის დროებითი წესი"***-ს მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, გთხოვთ, ასახოთ იმ პროგრამის სახე/სახეები, რომლის განხორციელებაც სურს დაწესებულების სტატუსის მაძიებელს.

სკოლამდელი აღზრდისა და განათლების პროგრამა

სასკოლო მზაობის პროგრამა

| N | პროგრამის სახე[1] | კურიკულუმ(ებ)ის დასახელება | პროგრამის განხორციელების ენა | პროგრამის განხორციელების მიდგომა *(არსებობის შემთხვევაში) (ბილინგვური/ მულტილინგვური)* | თვითშეფასების მიხედვით პროგრამაზე მოთხოვნილი ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობა |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | ადრეული აღზრდისა და განათლების პროგრამა | | | | <br>ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☐<br>არ ეთანხმება ☐ |
| 2 | სკოლამდელი აღზრდისა და | 1.ადრეული განათლების | ქართული | არა | 30 |

[1] აისახოს მხოლოდ ის პროგრამა/პროგრამები, რომელიც მითითებულია დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასებაში. პროგრამის სახის სპეციფიკის/რაოდენობის გათვალისწინებით შესაძლებელია დაემატოს ველები.

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | განათლების პროგრამა | კურიკულუმი „თამაში“<br><br>2. სასკოლო მზაობის პროგრამა „თამაში.“ | | | ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☐<br>არ ეთანხმება ☒<br>ვიზიტის დროს არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით დაწესებულებას შეუძლია მომსახურება გაუწიოს 15 ბავშვს.(შერეული ასაკობრივი ჯგუფის გათვალისწინებით) |
| 4 | სასკოლო მზაობის პროგრამა | | | | <br><br>ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☐<br>არ ეთანხმება ☐ |

## 7. ვიზიტის პროცესის საერთო მიმოხილვა

*მოკლედ აღწერეთ დაწესებულების სტატუსის მაძიებელში ვიზიტთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები*

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2026 წლის 12/03 და 23/03 ბრძანებების : MES 7 26 0000304917 / MES 7 26 0000347640 საფუძველზე განხორციელდა ექსპერტთა ჯგუფის წევრთა საავტორიზაციო ვიზიტი სენაკის მუნიციპალიტეტის გეჯეთის საბავშვო ბაღში დაწესებულებაში ვიზიტამდე ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა წარმოდგენილი დოკუმენტაცია, რის საფუძველზეც შედგა ვიზიტის დღის წესრიგი, რომელიც გასაცნობად გადაეგზავნა დაწესებულებას. საავტორიზაციო ვიზიტი დაიგეგმა 7 და8 აპრილს , 10 საათიდან 18 საათამდე, ერთსაათიანი შესვენებით. ექსპერტების მიერ დამატებითი დოკუმენტაცია ადგილზე ვიზიტისას იქნა შესწავლილი. ვიზიტმა ჩაიარა საქმიან და მშვიდ ვითარებაში, რომლის ფარგლებშიც ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო დაწესებულებაში მიმდინარე პროცესების შესაბამისობას ავტორიზაციის ოთხივე სტანდარტის მოთხოვნებთან მიმართებაში. მოხდა დაწესებულების ვიზუალური დათვალიერება, გასაუბრება, როგორც სენაკის საბავშვო ბაღების გაერთიანების წარმომადგენლებთან ,საბავშვო ბაღის თანამშრომლებთან და სხვა პასუხისმგებელ პირებთან.

ექსპერტებს საშუალება ჰქონდათ პირისპირ გასაუბრებოდნენ პასუხისმგებელ პირებს და მოეპოვებინათ მათთვის საჭირო ინფორმაცია შესაბამის სტანდარტთან დაკავშირებით. ვიზიტის დღის ბოლოს ჯამდებოდა ვიზიტის დღე. ექსპერტებმა მიაწოდეს ინფორმაცია დაწესებულების წარმომადგენლებს იმ მიგნებების შესახებ, რომელიც ვიზიტის დროს გამოიკვეთა. ორდღიანი ვიზიტის ფარგლებში დაწესებულებამ გამოავლინა თანამშრომლობის კულტურა. დაწესებულების პერსონალს კარგად აქვს გააზრებული საკუთარი

უფლება-მოვალეობანი, იცნობენ მიმდინარე სიახლეებს,რომელსაც  ნერგავენ პრაქტიკაში, მზად არიან მუდმივი განვითარებისათვის, მონიტორინგისა და შეფასებისთვის, რადგან თვლიან, რომ ამ პროცესში ბევრ სიახლეს ეცნობიან და ამდიდრებენ საკუთარ პრაქტიკას.

……………………………………………………………………………………………………………………………………………………

……………………………………………………………………………………………………………………………………………………

……………………………………………………………………………………………………………………………………………………

……………………………………………………………………………………………………………………………………………………

………………………………………………………………………………………………………………………………………………

## 8. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

*გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც დაწესებულების სტატუსის მაძიებლის გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში)*

……………………………………………………………………………………………………………………………………………………

……………………………………………………………………………………………………………………………………………………

……………………………………………………………………………………………………………………………………………………

……………………………………………………………………………………………………………………………………………………

………………………………………………………………………………………………………………………………………………

## 9. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შეფასება და აღწერა

*(ასეთის არსებობის შემთხვევაში)*

……………………………………………………………………………………………………………………………………………………

……………………………………………………………………………………………………………………………………………………

……………………………………………………………………………………………………………………………………………………

………………………………………………………………………………………………………………………………………………

# ნაწილი II: ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

| 10. ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების სქემა | | |
|---|---|---|
| სტანდარტი/კომპონენტი | დაწესებულების თვითშეფასება | ექსპერტთა ჯგუფის შეფასება |
| ავტორიზაციის I სტანდარტის შეფასების სქემა | | |
| 1. დაწესებულების მისია და სტრატეგიული განვითარება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| 1.1. დაწესებულების მისია | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| 1.2. სტრატეგიული განვითარება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☐ შეესაბამება<br>☒ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| ავტორიზაციის II სტანდარტის შეფასების სქემა[2]<br>*(პროგრამის სახე)*<br>*სკოლამდელი აღზრდისა და განათლების პროგრამა*<br><br>*(კურიკულუმის დასახელება)*<br>*1) ადრეული განათლების კურიკულუმი „თამაში . 2) სასკოლო მზაობის პროგრამა „თამაში”* | | |
| 2. კურიკულუმი | ☒ შეესაბამება | ☒ შეესაბამება |

[2] ცხრილი ივსება თითოეული პროგრამისთვის ცალ-ცალკე

| | | |
|---|---|---|
| | **☐ მეტწილად შეესაბამება**<br>**☐ ნაწილობრივ შეესაბამება**<br>**☐ არ შეესაბამება** | **☐ მეტწილად შეესაბამება**<br>**☐ ნაწილობრივ შეესაბამება**<br>**☐ არ შეესაბამება** |
| 2.1. კურიკულუმის დაგეგმვა | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| 2.2. კურიკულუმის განხორციელება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☐ შეესაბამება<br>☒ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| 2.3. კურიკულუმის შეფასება და განვითარება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

| ავტორიზაციის III სტანდარტის შეფასების სქემა | | |
|---|---|---|
| **3. ოჯახისა და თემის ჩართულობა** | **☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება** | **☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება** |
| 3.1. თანამშრომლობის დაგეგმვა | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| 3.2. თანამშრომლობის განხორციელება და შეფასება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| ავტორიზაციის IV სტანდარტის შეფასების სქემა | | |
| **4. სააღმზრდელო და საგანმანათლებლო პროცესის მხარდაჭერა** | **☐ შეესაბამება<br>☒ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება** | **☐ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☒ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება** |
| 4.1. პერსონალის მართვა და განვითარება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☐ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☒ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| 4.2. პროცესების მართვა | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

| | | |
|---|---|---|
| 4.3. მატერიალური რესურსი | ☐ შეესაბამება<br>☒ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☐ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☒ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| 4.4. კვების ორგანიზება და კვებითი რაციონი | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| 4.5. სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☐ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☒ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| 4.6. ფიზიკური და ემოციური უსაფრთხოება | ☐ შეესაბამება<br>☒ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☐ შეესაბამება<br>☒ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| 4.7.ფინანსური რესურსი | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☐ შეესაბამება<br>☒ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

# ნაწილი III. ავტორიზაციის I, II, III და IV სტანდარტთან შესაბამისობის აღწერა, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

## სარჩევი

1.1. დაწესებულების მისია

1.2. სტრატეგიული განვითარება

2.1. კურიკულუმის დაგეგმვა

2.2. კურიკულუმის განხორციელება

2.3. კურიკულუმის  შეფასება და განვითარება

3.1. თანამშრომლობის დაგეგმვა

3.2. თანამშრომლობის განხორციელება და შეფასება

4.1. პერსონალის მართვა და განვითარება

4.2. პროცესების მართვა

4.3. მატერიალური რესურსი

4.4. კვების ორგანიზება და კვებითი რაციონი

4.5. სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები

4.6. ფიზიკური და ემოციური უსაფრთხოება

4.7. ფინანსური რესურსი

# 1. დაწესებულების მისია და სტრატეგიული განვითარება

## 1.1. დაწესებულების მისია

### 1.1.1. დაწესებულებას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცეში და საზოგადოებაში

1. დაწესებულების მისია ეხმიანება ბავშვის საუკეთესო ინტერესების დაცვას და განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც ბავშვის კეთილდღეობაზე ორიენტირებულ სივრცეს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს მისია, რომელიც შემუშავებულია ა(ა)იპ სენაკის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის გაერთიანების დირექტორის მიერ დამტკიცებული სტრატეგიული განვითარების დაგეგმვის მარეგულირებელი წესის (ბრძ: N178 18/10/2024 წელი,) საფუძველზე, აღნიშნული ასევე დასტურდება სენაკის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღებისთვის მისია, ხედვა, ღირებულებების შემუშავების მიზნით ა(ა)იპ სენაკის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის გაერთიანების დირექტორის მიერ გამოცემული ბრძანებით, ავტორიზაციის საკითხებზე მომუშავე სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ : (ბრძ; N155 . 03/11/2025 წელი), ამავე გაერთიანების მიერ ბაღებისთვის მისია, ხედვა, ღირებულებების შემუშავების სამუშაო ჯგუფის შეხვედრის ოქმი (ოქმი N1 20/11/2025 წელი) დაწესებულების ოქმი N 1 22/09/2025 წელი (მისია,ხედვა ,ღირებულებების მიღებისა და გაზიარების შესახებ)

დაწესებულების მისიაა: (წარმოდგენილია როგორც გაერთიანების მისია) ,,შევქმნათ უსაფრთხო, ბავშვის კეთილდღეობაზე ორიენტირებული გარემო ,რომელიც თამაშზე დაფუძნებული სწავლებით ოჯახთან და თემთან პარტნიორობით ხელს შეუწყობს აღსაზრდელთა მრავალმხრივ განვითარებას და სკოლისათვის მზაობას ,გაერთიანება ეხმიანება ბავშვის ინტერესების დაცვას და განსაზღვრავს საკუთარ როლს ,როგორც ბავშვის კეთილდღეობაზე ორიენტირებულ სივრცეს,გაერთიანება მოწოდებულია სიახლეების შემოტანით ,სწავლების ახალი ტექნოლოგიების დანერგვით საფუძვლიანად შეისწავლოს სტანდარტებით გათვალისწინებული ყველა უნარ- ჩვევები და სრულფასოვნად მოამზადოს პირველი საფეხურისთვის .'' აღნიშნული მისია წარმოადგენს დაწესებულების ფუნდამეტურ დანიშნულებას,რომლის საშუალებითაც ხდება დაწესებულების იდენტობის ფორმირება, დაწესებულების მისია ეხმიანება ბავშვის საუკეთესო ინტერესების დაცვას და განსაზღვრავს საკუთარ როლს,როგორც ბავშვის კეთილდღეობაზე ორიენტირებულ სივრცეს.წარმოდგენილ მისიაში იკვეთება ბავშვის საუკეთესო ინტერესების დაცვაზე აქცენტი . მისიაში გამოკვეთილია დაწესებულების როლი ,რომელიც ბავშვის კეთილდღეობაზეა ორიენტირებული, დაწესებულების მისია შემუშავდა სენაკის მუნიციპალიტეტისსკოლამდელი აღზრდის გაერთიანების დირექტორის მიერ დამტკიცებული მარეგულირებელი დოკუმენტის, სტრატეგიული დაგეგმვის , მონიტორინგის და შეფასების წესის საფუძველზე (ბრძ: 178 .18/10/2024წელი)

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

....................................................................................................................................................................................................................................................

რეკომენდაცია

....................................................................................................................................................................................................................................................

რჩევა

სასურველია დაწესებულების მიერ წარმოდგენილი მისია ფორმულირებული იყოს მოკლედ და კონკრეტულად .ასევე წარმოდგენილი მისია უნდა წარმოადგენდეს დაწესებულების მისიას და არა გაერთიანებისას .

....................................................................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

....................................................................................................................................................................................................................................................

## 2. დაწესებულების მისიიდან გამომდინარე განსაზღვრულია დაწესებულების ხედვა და ღირებულებები

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს ხედვა და ღირებულებები დოკუმენტით: ა(ა)იპ სენაკის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის გაერთიანების სტრატეგიული დაგეგმვის,მონიტორინგის, შეფასების წესის დამტკიცების შესახებ ( ბრძ:N 178 18/10/2024 წელი ) ასევე სენაკის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღებისათვის მისია, ხედვა, ღირებულებების შემუშავების მიზნით,გაერთიანების მიერ გამოცემული ბრძანებით, სამუშაო ჯგუფის შექმნის შე შესახებ : (ბრძ; N155 . 03/11/2025 წელი), ამავე გაერთიანების მიერ ბაღებისთვის მისია, ხედვა, ღირებულების სამუშაო ჯგუფის შეხვედრის ოქმი (ოქმი N5 20/11/2025 წელი)

დაწესებულების ხედვა :(წარმოდგენილია როგორც გაერთიანების ხედვა) ,, მომავალი 5 წლის მანძილზე გაერთიანების საბავშვო ბაღებში შეიქმნას უნივერსალური ინკლუზიური გარემო,აღჭურვილი მრავალფეროვანი რესურსით ,სათანადოდ გადამზადებული კვალიფიციური პერსონალით,გამომდინარე იქედან, რომ მისიაში გაცხადებულია თამაშზე დაფუძნებული სწავლებით აღსაზრდელების მრავალმხრივი

განვითარების და სასკოლო მზაობის ხელშეწყობა კვალიფიციური პერსონალის და მრავალფეროვანი რესურსის გამოყენებით, მოწმობს რომ ხედვა გამომდინარეობს მისიიდან.''

დაწესებულების ღირებულებებია: (წარმოდგენილია როდგორც გაერთიანების ღირებულებები)
გუნდური თანამშრომლობა ,მხარდამჭერი და ნდობაზე დაფუძნებული ურთიერთობები. მაღალკვალიფიციური აღმზრდელ -პედაგოგების მეშვეობით შექმნილი საინტერესო გარემო, სადაც გათვალისწინებულია თითოეული ბავშვის უნიკალური ძლიერი მხარეები ,ინტერესები და სადაც ყველა გრძნობს თავს კომფორტულად ,უსაფრთხოდ და თანასწორად.ღირებულებები გამომდინარეობს მისიიდან და მასში მოაზრებულია თანამშრომლობაზე, მხარდაჭერაზე და ნდობაზე დაფუძნებული ურთიერთობები.

დაწესებულება ხედვისა და ღირებულებების შემუშავების დროს ხელმძღვანელობდა, ა(ა)იპ სენაკის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების სტრატეგიული დაგეგმვის,მონიტორინგის, შეფასების წესის მიხედვით, რომელიც დამტკიცებულია ამავე გაერთიანების დირექტორის მიერ (ბრძ: N178 18/10/2024 წელი,) დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ღირებულებები წარმოადგენს ორგანიზაციული კულტურის ნაწილს და აყალიბებს დაწესებულების მოლოდინებს. დაწესებულების ხედვა და ღირებულებები გამომდინარეობს დაწესებულების მისიიდან.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

რეკომენდაცია

………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

რჩევა

სასურველია დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ხედვა და ღირებულებები ფორმულირებული იყოს მოკლედ და კონკრეტულად და იგი წარმოადგენდეს დაწესებულების ხედვას და ღირებულებებს და არა გაერთიანებისას. .

………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

### 3. მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია დაინტერესებული მხარეების ჩართულობით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია დაინტერესებული მხარეების ჩართულობით; მისია, ხედვა, ღირებულებების შემუშავების პროცესს წარმართავს გაერთიანება, ა(ა)იპ სენაკის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის გაერთიანების დირექტორის მიერ გამოცემული ბრძანების საფუძველზე (ბრძ; N 155 3/11/2025 წელი) შექმნილი სამუშაო ჯგუფის მიერ, მათი აქტიური ჩართულობით. დაწესებულების მისია ,ხედვა და ღირებულებები შემუშავდა ა(ა)იპ სენაკის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის გაერთიანების დირექტორის მიერ დამტკიცებულ მარეგულირებელი დოკუმენტის შესაბამისად : სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგის და შეფასების წესი (ბრძ:178 18/10/2024 წელი მუხლი 7) სამუშაო ჯგუფის წევრები არიან ადგილობრივი მუნიციპალიტეტის, ბაღების გაერთიანების და საბავშვო ბაღების წარმომადგენლები, მშობელი. დაინტერესებული მხარეების ჩართულობა დასტურდება სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგის და შეფასების წესით, (ბრძ:178 18/10/2024 წელი, მუხლი 4), მისია,ხედვა ღირებულებების შემუშავების მიზნით სამუშაო ჯგუფის შექმნით, (ბრძ; N 155 03/11/2025 წელი), ავტორიზაციის საკითხებზე მომუშავე ჯგუფის შეხვედრის ოქმი(ოქმი N1 20/11/2025წელი) დაწესებულების პერსონალთან ინტერვიუთ და ფოტო მასალით.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

..........................................................................................................................................................................................................

..........................................................................................................................................................................................................

რეკომენდაცია

..........................................................................................................................................................................................................

..........................................................................................................................................................................................................

რჩევა

..........................................................................................................................................................................................................

..........................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

..........................................................................................................................................................................................................

..........................................................................................................................................................................................................

### 4. მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია დაინტერესებულ მხარეებთან და საჯაროდაა ხელმისაწვდომი

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

მისია , ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია დაინტერესებულ მხარეებთან და საჯაროდაა ხელმისაწვდომი, რაც დასტურდება დაწესებულების მიერ შემუშავებული მარეგულირებელი წესით : სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგის და შეფასების წესი (ბრძ:178

18/10/2025წელი მუხლი 8 ზ) ), სამუშაო ჯგუფის შეხვედრის ოქმით( N2 23/12/2025) სტრატეგიული გეგმის, მისია, ხედვა ,ღირებულებების გაზიარების თაობაზე. დაწესებულებაში ვიზიტისას, ვიზუალური დათვალიერებით დადგინდა, რომ მისია, ხედვა, ღირებულებები განთავსებულია საბავშვო ბაღში თვალსაჩინო ადგილზე. პერსონალთან ინტერვიუს საფუძველზე ასევე დასტურდება, რომ საბავშვო ბაღის პერსონალის და მშობლებისთვის მისი გაცნობა მოხდა დახურულ ჯგუფებში და ღია შეხვედრებზე. მისიის, ხედვისა და ღირებულებების დაინტერესებული მხარეებისთვის გაცნობა და ხელმისაწვდომობა ასევე დასტურდება პროცესების ამსახველი ფოტო მასალით ,დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ოქმებით (ოქმი N2 20/11/2025წ) რომლითაც დასტურდება დაწესებულების მიერ მისიის, ხედვის და ღირებულებების გაზიარება პერსონალთან და მშობლებთან.აღნიშნული ასევე დასტურდება დაწესებულების ფეისბუკგვერდის საშუალებით: https://www.facebook.com/gejetis.sabavshvo.baghi

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

.....................................................................................................................................................................................................
.....................................................................................................................................................................................................

რეკომენდაცია

.....................................................................................................................................................................................................
.....................................................................................................................................................................................................

რჩევა

.....................................................................................................................................................................................................
.....................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....................................................................................................................................................................................................
.....................................................................................................................................................................................................

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

*1.* ა(ა)იპ სენაკის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის გაერთიანების დირექტორის მიერ დამტკიცებული სტრატეგიული დაგეგმვის,მონიტორინგის, შეფასების წესისა , სტრატეგიული განვითარების დაგეგმვის მარეგულირებელი წესის (ბრძ: N178 18/10/2024 წელი,)

*დაწესებულების ფეისბუკგვერდი:* *https://www.facebook.com/gejetis.sabavshvo.baghi*

*2.* ავტორიზაციის საკითხებზე მომუშავე სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ : (ბრძ; N155 . 03/11/2025 წელი)

3. გაერთიანების მიერ ბაღებისთვის მისია, ხედვა, ღირებულების სამუშაო ჯგუფის შეხვედრის ოქმი (ოქმი N1 20/11/2025 წელი)
4. სამუშაო ჯგუფის შეხვედრის ოქმით( N1.N2 24/09/25-__20/11/25 ) სტრატეგიული გეგმის, მისია, ხედვა ,ღირებულებების გაზიარების თაობაზე.
5. სამუშაო ჯგუფის შეხვედრის ოქმი (ოქმი N5 20/11/2025 წელი)
6. ფოტომასალა და პერსონალთან ინტერვიუ

| შეფასება: | | | |
|---|---|---|---|
| 1.1. დაწესებულების მისია | | | |
| შეესაბამება ☒ | მეტწილად შეესაბამება ☐ | ნაწილობრივ შეესაბამება ☐ | არ შეესაბამება ☐ |

## 1.2. სტრატეგიული განვითარება

### 1.2.1. დაწესებულებაში მოქმედებს დაგეგმვის პრაქტიკა

## 1. დაწესებულებას აქვს სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია, რომელიც მოიცავს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმს და ითვალისწინებს დაგეგმვის პროცესში დაინტერესებული მხარეების ჩართულობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს ა(ა)იპ სენაკის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის გაერთიანების სტრატეგიული დაგეგმვის,მონიტორინგის, შეფასების წესისა და სტრატეგიული განვითარების დაგეგმვის მეთოდოლოგია (ბრძ:178 18/10/2024 წელი,მუხლი 10) , სადაც გათვალისწინებულია სტრატეგიული დაგეგმვის პროცესის ეტაპები და პასუხისმგებელი პირები,პროცესში ჩართული მხარეები (ბრძ:178 18/10/2024 წელი, მუხლი 2, 3, 4) ,რომელიც წარმოდგენილია სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის დანართად. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი მეთოდოლოგია მოიცავს სტრატეგიული გეგმის მონიტორინგის ფორმას და პერიოდულობას. (ბრძ:178 18/10/2024 წელი. მუხლი 13,14) . ასევე იგი მოიცავს სტრატეგიული გეგმის შეფასების ფორმას (მუხლი 15) განსაზღვრულია დაინტერესებული მხარეები და მათი ჩართულობის გზები , რასაც ადასტურებს: სტრატეგიული დაგეგმვის ,მონიტორინგის და შეფასების მარეგულირებელი წესი. (ბრძ:178 18/10/2024 წელი) ასევე, საბავშვო ბაღებისთვის სტრატეგიული დაგეგმარების სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ ( ბრძ:N155 03/11/2025წ), სამუშაო ჯგუფის ოქმის სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესახებ: ოქმი N6 30/11/2025 წელი. აღნიშნული ასევე დასტურდება გაერთიანების და დაწესებულების პერსონალთან ინტერვიუთ და შემუშავების პროცესის ამსახველი ფოტო მასალით .

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

........................................................................................................................................................................................................................
........................................................................................................................................................................................................................

რეკომენდაცია

........................................................................................................................................................................................................................
........................................................................................................................................................................................................................

რჩევა

........................................................................................................................................................................................................................
........................................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

........................................................................................................................................................................................................................
........................................................................................................................................................................................................................

## 2. სტრატეგიული გეგმა არის არანაკლებ ხუთწლიანი, ციკლური და შესაბამისობაშია დაწესებულების მისიასთან, ხედვასთან და ღირებულებებთან. ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებამ წარმოადგინა ა(ა)იპ სენაკის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის სტრატეგიული დაგეგმვის,მონიტორინგის და შეფასების წესი (ბრძ:178 18/10/2024 წელი) და ( 2023-2027 წწ. ) სტრატეგიული განვითარების გეგმა, რომელიც დამტკიცებულია ამავე გაერთიანების დირექტორის ბრძანების საფუძველზე (ბრძ:N50 11/05/2023 წელი) წარმოდგენილი სტრატეგიული განვითარების გეგმა არის ხუთწლიანი, ციკლური,რომელიც არ გამომდინარეობს დაწესებულების(გეჯეთის ბაღის)მიერ წარმოდგენილი მისიიდან, ხედვიდან და ღირებულებებიდან,რადგანაც ა(ა)იპ სენაკის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის სტრატეგიული განვითარების გეგმა დამტკიცებულია გაერთიანების მიერ 2023 წლის 11 მაისისი N50 ბრძანების საფუძველზე , ხოლო მისია, ხედვა და ღირებულებები მიღებული, გაცნობილი და გაზიარებული აქვთ 2025 წლის ნოემბერში. შესაბამისად წარმოდგენილი სტრატეგიული განვითარების გეგმა არ გამომდინარეობს დაწესებულების სტრატეგიული განვითარების შემუშავების მეთოდოლოგიიდან ,რომელიც დამტკიცებულია ა(ა)იპ სენაკის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის გაერთიანების დირექტორის მიერ ბრძ N178 18/10/2024 წელი მუხლი 10 )

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.

.....................................................................................................................................................................................................................................

.....................................................................................................................................................................................................................................

რეკომენდაცია

ინდიკატორის დაკმაყოფილების მიზნით დაწესებულებამ უზრუნველყოს სტრატეგიული გეგმის შემუშავება, რომელიც გამომდინარე იქნება დაწესებულების მიერ წარმოდგენილი მისიდანა, ხედვიდან და ღირებულებებიდან. ასევე უზრუნველყოს აღნიშნული სტრატეგიული განვითარების გეგმის შედგენა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ტრატეგიული დაგეგმვის,მონიტორინგის და შეფასების წესისა (ბრძ:178 18/10/2024 წელი) და სტრატეგიული გეგმის შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად (ბრძ:178 18/10/2024 წელი, მუხლი 10 )

.....................................................................................................................................................................................................................................

.....................................................................................................................................................................................................................................

რჩევა

სასურველია სტრატეგიული განვითარების გეგმა შეთანხმებული იყოს დამფუძნებელთან.

.....................................................................................................................................................................................................................................

.....................................................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, ინდიკატორის დაკმაყოფილების მიზნით დაწესებულება უზრუნველყოფს: სტრატეგიული სამუშაო ჯგუფის მოწვევას,შეხვედრების ორგანიზებას,სამუშაო ჯგუფის მიერ სტრატეგიული გეგმის განხილვა/კორექტირებას, დასამტკიცებლად წარდგენას და დირექტორის მიერ სტრატეგიული გეგმის დამტკიცებას. წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის მიხედვით შეუსაბამობის აღმოფხვრის ვადად განისაზღვრა 12 თვე (მეტწილი) აღნიშნული შესაბამისობის გეგმა უზრუნველყოფს შეუსაბამობის სრულად აღმოფხვრას.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია.

........................................................................................................................................................................................................................................
.......................................................................................................................................................................................................................................

## 3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სტრატეგიულ გეგმას და დაწესებულების ყოველწლიურ თვითშეფასებას

### ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს ა(ა)იპ სენაკის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის გაერთიანების მიერ დამტკიცებული სტრატეგიული გეგმის შემუშავების მეთოდოლოგია (ბრძ: N 178 წელი, 18/10/2024 მუხლი 10) სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების წესი: (ბრძ:N178 18/10/2024 წელი მუხლი 2,14,15) სადაც ასახულია სამოქმედო გეგმის შემუშავების მექანიზმი(ბრძ: 178 18/10/ 2025 წელი. მუხლი 11) დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ოქმი N3__ N4 (23/12/25_ 20/01/26)
დაწესებულების მიერ წარმოდგენილ სამოქმედო გეგმა დამტკიცებულია ა(ა)იპ სენაკის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის გაერთიანების დირექტორის მიერ (ბრძ:N181 30/12/2025 წელი) იგი არ შეესაბამება დაწესებულების მიერ წარმოდგენილ წესში სამოქმედო გეგმის შემუშავების მექანიზმს ( ბრძ N178 18/10/2015 წელი მუხლი 11) წარმოდგენილი სამოქმედო გეგმა არის სკოლამდელი აღზრდის სამოქმედო გეგმის ნაწილი, რომელშიც იდენტიფიცირებული არ არის კონკრეტული საბავშვო ბაღები.იგი არ მოიცავს მეთოდოლოგიით გათვალისწინებულ სავალდებულო ველებს: არ ამოდის სტრატეგიული მიზნებიდან და ამოცანებიდან და არ ითვალისწინებს ყოველწლიური თვითშეფასების შედეგებს .

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.

........................................................................................................................................................................................................................................
.......................................................................................................................................................................................................................................

### რეკომენდაცია

ინდიკატორის დაკმაყოფილების მიზნით დაწესებულებამ უზრუნველყოს სამოქმედო გეგმის შემუშავება ,რომელიც შესაბამისობაში იქნება დაწესებულების მიერ წარმოდგენილი სამოქმედო გეგმის შემუშავების მექანიზმთან ბრძ:N 178 18/10/2025 წელი მუხლი 11

........................................................................................................................................................................................................................................
........................................................................................................................................................................................................................................

რჩევა

.................................................................................................................................................................................................................................

.................................................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, ინდიკატორის დაკმაყოფილების მიზნით დაწესებულება უზრუნველყოფს: სამუშაო ჯგუფის მიერ სამოქმედი გეგმის განხილვას, სამოქმედო გეგმის შედგენას და დამტკიცებას . წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის მიხედვით შეუსაბამობის აღმოფხვრის ვადად განისაზღვრა 12 თვე (მეტწილი) აღნიშნული შესაბამისობის გეგმა უზრუნველყოფს შეუსაბამობის სრულად აღმოფხვრას.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია.

.................................................................................................................................................................................................................................

.................................................................................................................................................................................................................................

## 4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს სტრატეგიული განვითარების ,მონიტორინგისა და შეფასების მარეგულირებელ წესი ( ბრძ: N 178 18/10/2024 წელი მუხლი 11) დაწესებულების მიერ წარმოდგენილ სამოქმედო გეგმა არ შეესაბამება წარმოდგენილ წესს, აღნიშნულ სამოქმედო გეგმაში არ არის განსაზღვრული სტრატეგიული მიზნები და ამოცანები , შესრულების გაზომვადი ინდიკატორები,რეალისტური ვადები, იგი შეუსაბამოა დაწესებულების მიერ წარმოდგენილ სტრატეგიული განვითარების ,მონიტორინგისა და შეფასების მარეგულირებელ წესთან და მეთოდოლოგიასთან ( ბრძ: N 178 18/10/2024 წელი მუხლი 11) დაწესებულების სამოქმედო გეგმაში შესასრულებელი აქტივობები არ არის გაწერილი თვეებში ან კვარტლურად, ასევე რამდენიმე განსახორციელებელ აქტივობაზე გათვალისწინებული არ არის პასუხისმგებელი პირები.

აღნიშნულიდნ გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.

.................................................................................................................................................................................................................................

.................................................................................................................................................................................................................................

რეკომენდაცია

ინდიკატორის დაკმაყოფილების მიზნით დაწესებულებამ უზრუნველყოს სამოქმედო გეგმის შემუშავება ,რომელიც შესაბამისობაში იქნება დაწესებულების მიერ წარმოდგენილი სამოქმედო გეგმის შემუშავების მექანიზმთან. ბრძ:N 178 18/10/2025 წელი მუხლი 11

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

რჩევა

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, ინდიკატორის დაკმაყოფილების მიზნით დაწესებულება უზრუნველყოფს: სამუშაო გეგმის განხილვა/დაკორექტირებას,მასში კონკრეტული აქტივობების გაწერას თვეების და კვარტლების მიხედვით. წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის მიხედვით შეუსაბამობის აღმოფხვრის ვადად განისაზღვრა 12 თვე (მეტწილი) აღნიშნული შესაბამისობის გეგმა უზრუნველყოფს შეუსაბამობის სრულად აღმოფხვრას.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია.

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

## 5. მეთოდოლოგიის შესაბამისად დაწესებულება ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს სტრატეგიული განვითარების ,მონიტორინგისა და შეფასების მარეგულირებელ წესი ( ბრძ: N 178 18/10/2024 წელიამ წესის მე-14 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, სტრატეგიული გეგმის მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება ორჯერ: შუალედურ პერიოდში (2,5 წელს) და ბოლოს. ამავე წესის (მუხლი 14, მე-4 პუნქტი) მიხედვით, დაწესებულება განახორციელებს სამოქმედო გეგმების მონიტორინგს კვარტალურად, ხოლო შეფასებას წლიურად. ამავე წესში გაწერილია, რომ სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების პროცესს კოორდინაციას გაუწევს სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარე.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

რეკომენდაცია

.....................................................................................................................................................................................................................

.....................................................................................................................................................................................................................

რჩევა

.....................................................................................................................................................................................................................

.....................................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....................................................................................................................................................................................................................

.....................................................................................................................................................................................................................

## 6. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები საჯაროდაა ხელმისაწვდომი და გამოიყენება დაწესებულების შემდგომი განვითარებისთვის

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს სტრატეგიული განვითარების ,მონიტორინგისა და შეფასების მარეგულირებელ წესი ( ბრძ: N 178 18/10/2024 წელი,რომლის მიხედვით სამოქმედო გეგმის მონიტორინგი რეალურად განხორციელდება და საჭიროების შემთხვევაში მოხდება მისი კორექტირება,ჩანაწერების დაზუსტება, ვადების გადაწევა და ა.შ. სამოქმედო გეგმის შესრულების შედეგები ცნობილი და გაზიარებული იქნება დინტერესებულ მხარეებთან,წლიური ანგარიშის წარდგენის სახით და სოციალურ ქსელში გამოქვეყნებით.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

.....................................................................................................................................................................................................................

.....................................................................................................................................................................................................................

რეკომენდაცია

.....................................................................................................................................................................................................................

.....................................................................................................................................................................................................................

რჩევა

.....................................................................................................................................................................................................................

.....................................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....................................................................................................................................................................................................................

.....................................................................................................................................................................................................................

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

1. სტრატეგიული განვითარების ,მონიტორინგისა და შეფასების მარეგულირებელ წესი ( ბრძ: N 178 18/10/2024 წელი მუხლი 11)
2. სტრატეგიული განვითარების დაგეგმვის მეთოდოლოგია (ბრძ:178 18/10/2024 წელი,მუხლი 10)
3. სამოქმედო გეგმის შემუშავების მექანიზმი(ბრძ: 178 18/10/ 2025 წელი. მუხლი 11)
4. დაწესებულების ერთწლიანი სამოქმედო გეგმა (ბრძ:N173 29/12/2023 წელი)
5. სტრატეგიული განვითარების გეგმის დამტკიცების ბრძ:N 50 11/05/2023
6. პერსონალთან ინტერვიუ და ფოტომასალა
7. სამუშაო ჯგუფის ოქმი სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების გაზიარების შესახებ: ოქმი N6 30/11/2025 წელი
8.დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ოქმი N3__ N4 (23/12/25_ 20/01/26)
9. დაწესებულების ფეისბუკ გვერდი : https://www.facebook.com/gejetis.sabavshvo.baghi

| შეფასება: | | | |
|---|---|---|---|
| 1.2. სტრატეგიული განვითარება | | | |
| შეესაბამება ☐ | მეტწილად შეესაბამება ☒ | ნაწილობრივ შეესაბამება ☐ | არ შეესაბამება ☐ |

## 2. კურიკულუმი [3]

### პროგრამის სახე

[3]მეორე სტანდარტის „კურიკულუმის“ ყველა ველი ივსება თითოეული პროგრამისათვის ცალ-ცალკე.

სკოლამდელი აღზრდისა და განათლების პროგრამა

.....................................................................................................................................................................................................................

## კურიკულუმის დასახელება

ადრეული განათლების კურიკულუმი „თამაში“ . სასკოლო მზაობის პროგრამა „თამაში“.

.....................................................................................................................................................................................................................

## 2.1. კურიკულუმის დაგეგმვა

### 2.1.1. დაწესებულებაში მოქმედებს კურიკულუმის დაგეგმვის პრაქტიკა

### 1. პროგრამის განხორციელებისას დაწესებულება ხელმძღვანელობს წინასწარ შერჩეული/შემუშავებული კურიკულუმით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებამ წარმოადგინა ა(ა)იპ სენაკის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდისა გაერთიანების დირექტორის კურიკულუმის დამტკიცების ბრძანება #169 თარიღი: 1.10.2024წ (დანართი N4) და დაკორექტირებული კურიკულუმის დამტკიცების ბრძანება # 22 თარიღი: 20.02.2026წ ( დანართი N4)

დაწესესებულებას შემუშავებული აქვს კურიკულუმის შერჩევის, გაზიარების, შეფასების და განვითარების მარეგურურებელი წესი. ბრძანება # 46 თარიღი: 21.05.2025წ. ( დანართი # 5 ), რომლითაც განსაზღვრა კურიკულუმის შერჩევის პროცედურა. ამ წესის მუხლი 2- ის მიხედვით კურიკულუმის შერჩევის პროცესის ამსახველი დოკუმენტები/მასალებია ( ოქმი N6 ) . დაწესებულებამ წარმოადგინა ავტორიზაციის პროცესთან დაკავშირებული დროებით სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ ბრძანება # 155 თარიღი : 3.11.2025წ) ბრძანების დანართში მითითებულია : ,,კურიკულუმის დაგეგმვის,განხორციელების ,გაზიარების და შეფასების ჯგუფი.“აღნიშნული ჯგუფის წევრები არიან: მეთოდ -განყოფილების უფროსი, გაერთიანების მეთოდისტები, ფსიქოლოგი, ბაღის გამგეები, მშობელი. სწორედ ამ სამუშაო ჯგუფის მიერ მოხდა კურიკულუმის შერჩევა .მტკიცებულებად ა(ა)იპ სენაკის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის გაერთიანებამ წარმოადგინა ოქმი N7-,სადაც დეტალურად აღწერილია კურიკულუმის შერჩევის პროცესი: ის რომ განიხილეს რამოდენიმე მეთოდოლოგიური სახელმძღვანელო: ყვითელი წიგნი ,თამაში კურიკულუმი 2-5 წლამდე,სასკოლო მზაობის პროგრამა თამაში. გამოითქვა აზრი და ერთხმად შეარჩიეს ჯგუფის წევრებმა ,რომ სენაკის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღებმა იხელმძღვანელოს : ადრეული განათლების კურიკულუმი ,,თამაში „ და სასკოლო მზაობის პროგრამა ,, თამაში .“ საგანმანათლებლო პერსონალის ინტერვიუებში ვლინდება პროცესის სრული მიდინარეობის აღწერა კურიკულუმის შერჩევის/გაზიარების /შეფასების შესახებ. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტები ასახავს რომ კურიკულუმი, რომლითაც ხელმძღვანელობს დაწესებულება : ადრეული განათლების კურიკულუმი“ თამაში“ და სასკოლო მზაობის პროგრამა ,, თამაში“ წინასწარ არის შერჩეული.

 განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

........................................................................................................................................................................................................................................................................................
........................................................................................................................................................................................................................................................................................

რეკომენდაცია

........................................................................................................................................................................................................................................................................................
........................................................................................................................................................................................................................................................................................

რჩევა

........................................................................................................................................................................................................................................................................................
........................................................................................................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

........................................................................................................................................................................................................................................................................................
........................................................................................................................................................................................................................................................................................

## 2. დაწესებულების მიერ შერჩეული/შემუშავებული კურიკულუმი ხელს უწყობს ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტებით დადგენილი შედეგების მიღწევას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებას შერჩეული აქვს კურიკულუმი: ადრეული განათლების კურიკულუმი „თამაში" და სასკოლო მზაობის პროგრამა „თამაში"( ბრძანება # 22 თარიღი : 2026 წ. 27 .02) აღნიშნული კურიკულუმი ხელს უწყობს ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტებით დადგენილი შედეგების მიღწევას, რაც ვლინდება კურიკულუმის მეთოდოლოგიაში. პროცესი მოიაზრებს განვითარების ხუთივე სფეროსა ( მოტორული ,სოციალურ-ემოციური, ენობრივ - კომუნიკაციური, შემეცნებითი, ადაპტური) და სამივე მიმართულებაში( ხელოვნებას,წიგნიერება,მეცნიერება) ბავშვების განვითარების მხარდაჭერას. კერძოდ მოიცავს დაგეგმილი თუ დაუგეგმავი სიტუაციების აღწერას, თამაშებს,რუტინას, ურთიერთობებს და სხვა. მიდგომები სრულად ეფუძნება პროგრამის სახელმწიფო სტანდარტს, რაც ბავშვისათვის განმავითარებელ, უსაფრთხო, პოზიტიურ და ხარისხიან საგანმანათლებლო გარემოს შექმნას გულისხმობს და ითვალისწინებს სტანდარტის ისეთ მიმართულებებსაც, როგორიცაა – ოჯახის და თემის მონაწილეობა, კულტურული მრავალფეროვნება და ინკლუზია, მართვა და შეფასება. შერჩეული კურიკულუმი ჰოლისტურია და თანაბრად ანიჭებს მნიშვნელობას ბავშვის განვითარების ყველა სფეროს, აღიარებს და

აფასებს ბავშვის თავისებურებებს. კურიკულუმი ითვალისწინებს ბავშვის მრავალმხრივი განვითარებისათვის შესაბამისი პირობების უზრუნველყოფას ,როგორიცაა: მრავალფეროვანი რესურსებით მომარაგება,მრავალფეროვანი გამოცდილებების და თამაშების დაგეგმვა, გარემოს შესაბამისად მოწყობა,ბავშვებზე და საგანმანათლებლო პროცესზე დაკვირვება ,ბავშვთა რაოდენობის შესაბამისი საგანმანათლებლო რესურსების არსებობა და სხვა .

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

............................................................................................................................................................................................................
............................................................................................................................................................................................................

რეკომენდაცია

............................................................................................................................................................................................................
............................................................................................................................................................................................................

რჩევა

............................................................................................................................................................................................................
............................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

............................................................................................................................................................................................................
............................................................................................................................................................................................................

## 3. კურიკულუმი ეფუძნება თამაშს და ითვალისწინებს ბავშვს, როგორც აქტიურ მონაწილეს საკუთარი სწავლისა და განვითარების პროცესში

### ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების მიერ შერჩეული კურიკულუმი: ადრეული განათლების კურიკულუმი „თამაში“ და სასკოლო მზაობის პროგრამა „თამაში“ ( ბრძანება # 22 თარიღი : 2026 წ. 27 .02) ეფუძნება თამაშს. წარმოადგენს როგორც ზოგად, ასევე კონკრეტულ მითითებებს, ცოდნას, გამოცდილებას, თუ როგორ უნდა ხდებოდეს ადრეული ასაკის ბავშვებისთვის განმავითარებელი და სასწავლო გარემოს ორგანიზება და უზრუნველყოფა. კურიკულუმი მოიცავს დაგეგმილ თუ დაუგეგმავ გამოცდილებებს, თამაშებს, რუტინას, ურთიერთობებს. კურიკულუმი ითვალისწინებს ბავშვს როგორც აქტიურ მონაწილეს საკუთარი სწავლისა და განვითარების პროცესში, ბავშვი ცნობისმოყვარე, მედეგი და ლაღია.

ის ინტერესით იკვლევს, თავისუფლად სვამს კითხვებს, ეძებს ამ კითხვებზე პასუხებს, უმკლავდება გამოწვევებს, თავდაჯერებულია, არ ნებდება წარუმატებელი მცდელობის შემთხვევაში, თავისუფალი და ბედნიერია . ბავშვი სწავლობს კეთებით,პროცესში აქტიური ჩართვით ,აღმოჩენებით, ექსპერიმენტით,ცდით,იდეების მოსინჯვით ,შეცდომების დაშვებით ,შესაძლებლობების გამოცდით.ამით ბავშვი უკეთესად შეიმეცნებს სამყაროს საკუთარი გამოცდილებით ,როდესაც თავად ეძებს პასუხებს კითხვაზე ,ვიდრე მზა ცოდნის მიწოდებისა და ინფორმაციის პასიური დამახსოვრებით. ბავშვის მონაწილეობა საგანმანათლებლო პროცესში ასევე გულისხმობს დაგეგმვაში მონაწილეობას ,ან არსებულ გეგმაში ცვლილებების შეტანას. აღნიშნული კურიკულუმი ამით ხელს უწყობს ბავშვის ფიზიკურ და ემოციურ სიჯანსაღეს, ეხმარება ბავშვს საკუთარი არჩევანის გაკეთებასა და ახალ გამოწვევებთან გამკლავებაში, კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნების ჩამოყალიბებაში. განუვითარებს ბავშვს მეგობრებსა და ოჯახის წევრებთან პოზიტიური ურთიერთობების ჩამოყალიბებისათვის საჭირო უნარებს. ამზადებს ბავშვს პირველი კლასის მოსწავლის მიმართ არსებული მოლოდინებისა და გამოწვევებისათვის.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

.............................................................................................................................................................................................................................................

.......................................................................................................................................................

რეკომენდაცია

.............................................................................................................................................................................................................................................

.............................................................................................................................................................................................................................................

რჩევა

.............................................................................................................................................................................................................................................

.............................................................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.............................................................................................................................................................................................................................................

.............................................................................................................................................................................................................................................

## 4. კურიკულუმი ითვალისწინებს ოჯახთან/თემთან თანამშრომლობას და მათ ჩართულობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების მიერ შერჩეული კურიკულუმი: ადრეული განათლების კურიკულუმი „თამაში“ და სასკოლო მზაობის პროგრამა „თამაში“ ( ბრძანება # 22 თარიღი : 2026 წ. 27 .02 ) ითვალისწინებს ოჯახთან/თემთან თანამშრომლობას და მათ ჩართულობას ბაღის ცხოვრებაში. უზრუნველყოფს მშობლებთან რეგურალურ შეხვერდებს, ცნობიერების ამაღლებას ადრეული განათლების მნიშვნელობასა და სწავლაზე. კურიკულუმი ითვალისწინებს თემის რესურსების გამოყენებას საგანმანათლებლო პროცესში, მათი გამოცდილების გაზიარებას, ჩართულობას

ბაღის ცხოვრებაში და პოზიტიური ურთიერთკავშირის ჩამოყალიბებას. ეს აქტივობები კი უნდა უზრუნველყოფდეს : მშობლის სხვადასხვა როლით --მოხალისის,პროფესიონალის,დამხმარის მონაწილეობას. მაგ: მასალების შეგროვება ,დამზადება, აქტივობებში მონაწილეობა ,ცოდნის და საქმიანობის გაზიარება და სხვა. მშობელთა რეგულარულ შეხვედრებსა და მათთან კომუნიკაციას ბაღის ცხოვრებაზე, ბავშვის მიღწევებზე და პროგრესზე. მშობლისათვის მომსახურეობის გაცნობას ,კერძოდ ,ისეთი საკითხების როგორიცაა: კურიკულუმის,საგანმანათლებლო პროცესი და სხვა . ცნობიერების ამაღლებას ისეთ საკითხებზე როგორიცაა: ბავშვის უფლებები, ადრეული განათლების მნიშვნელობა და სწავლა ,თამაშის მნიშვნელობა და სხვა . თემის რესურსის გამოყენებას საგანმანათლებლო პროცესში და მათი გამოცდილების გაზიარებას. ყოველივე ზემოაღნიშნული საკითხის განხორციელების ხარისხი რეგულირდება მესამე სტანდარტით ,რომელიც ეხება ოჯახისა და თემის მონაწილეობას.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

..............................................................................................................................................................................................................
..............................................................................................................................................................................................................

რეკომენდაცია

..............................................................................................................................................................................................................
..............................................................................................................................................................................................................

რჩევა

..............................................................................................................................................................................................................
..............................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

..............................................................................................................................................................................................................
..............................................................................................................................................................................................................

## 5. კურიკულუმი ითვალისწინებს მრავალფეროვან, ასაკისა და განვითარების შესაბამის საქმიანობებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების მიერ შერჩეული კურიკულუმი: „,ადრეული განათლების კურიკულუმი „თამაში“ და სასკოლო მზაობის პროგრამა ,,თამაში” ( ბრძანება # 22 თარიღი : 2026 წ. 27 .02) ითვალისწინებს მრავალფეროვან ასაკისა და განვითარების შესაბამის საქმიანობებს, რაც ვლინდება კურიკულუმის შინაარსში. ბავშვები სწავლობენ ყველა სიტუაციაში, როგორიცაა გადასვლები სივრცესა და თამაშებში, ბაღში წასვლა-მოსვლა,

სადილი და სხვა რუტინული საქმიანობები. კურიკულუმი აგრეთვე ითვალისწინებს თამაშის, აქტივობების ,გამოცდილების მრავალფეროვნებას, საუბრი, აზრის გამოთქმა, მოსმენა, წიგნებთან ურთიერთობა, დაკვირვება, დათვალიერება, კვლევის,ექსპერიმენტების, გამოგონების, შექმნის, მრავალფეროვანი მასალების გამოყენების შესაძლებლობას სხვადასხვა ასაკისა და განვითარების მქონე ბავშვებისთვის. სწორედ ასაკით იწყება იმის გააზრება , თუ რა გამოცდილებები იქნება უფრო ეფექტური კონკრეტული ასაკობრივი ჯგუფის ბავშვებისათვის ,ანუ ასაკობრივად შესაფერისი. ასევე აუცილებელია ბავშვის ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინება .აქედან გამომდინარე ერთი განზომილებაა ბავშვის ასაკობრივი თავისებურებები,ხოლო მეორე ბავშვების ინდივიდუალური განსხვავებები, განვითარების და პიროვნული თავისებურებები. დაწესებულების საგანმანათლებლო პერსონალს გააზრებული აქვს რა არის შესაფერისი ბავშვისათვის, როგორც ინდივიდუალურ ჭრილში,ასევე ბავშვების ჯგუფისათვის. ამისათვის კი მნიშვნელოვანია თითოეული ბავშვის გაცნობა ,მათზე თანმიმდევრული დაკვირვებით. სწორედ ამ დაკვირვებებიდან გამომდინარეობს პროცესის ინდივიდუალიზაცია და საგანმანათლებლო პრაქტიკის შესაბამისი დაგეგმვა ,რათა საგანმანათლებლო პროცესი ბავშვების ინდივიდუალური განვითარების დონის შესაბამისი იყოს. ნებისმიერი ბავშვის განვითარება არათანაბარია განვითარების დონეების თვალსაზრისით , განვითარებასთან დაკავშირებულ განსხვავებებთან ერთად ბავშვები ასევე განსხვავდებიან ინტერესებით, პიროვნული თვისებებით, სწავლის სტილით , ცოდნით ,უნარ-ჩვევებით. ეფექტური სწავლება ყველასათვის ერთნაირი ვერ იქნება, ეფექტური სწავლება მოითხოვს თითოეულ ბავშვზე,მათ ინტერესებზე,შესაძლებლობებზე და საჭიროებებზე მორგებას ისე,რომ გამოწვევები,რომელიც ბავშვებს შეხვდებათ,იყოს მათთვის საინტერესო და მათ ინდივიდუალურ შესაძლებლობებთან მიმართებით რთული და ამავე დროს მიღწევადი.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

..........................................................................................................................................................................................................
..........................................................................................................................................................................................................

რეკომენდაცია

..........................................................................................................................................................................................................
..........................................................................................................................................................................................................

რჩევა

..........................................................................................................................................................................................................
..........................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

..........................................................................................................................................................................................................
..........................................................................................................................................................................................................

## 6. კურიკულუმი გაზიარებულია დაწესებულების პერსონალთან და მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

კურიკულუმი ითვალისწინებს ოჯახთან /თემთან თანამშრომლობას და მათ ჩართულობას , უზრუნველყოფს მშობელთა ინფორმირებას .ეს კი მიიღწევა კურიკულუმის გაზიარების გზით. გაზიარება კი ამ შემთხვევაში გულისხმობს , როგორც ინფორმაციის ხელმისაწვდომობას( ვიცი რას სწავლობს ჩემი შვილი) ასევე თანამოაზრეობის განცდას ( მომწონს/ვეთანხმები რას და როგორ სწავლობს ჩემი შვილი) .ოჯახისთვის კურიკულუმის გაცნობა მარტივად ,მათთვის გასაგები ენით უნდა ხდებოდეს ,რათა გააზრებული იყოს მათთვის: თამაშის მნიშვნელობა ,ბავშვის განვითარების ხელშემწყობი ფაქტორები და სხვა. შერჩეული კურიკულუმი გაზიარებულია დაწესებულების პერსონალთან და მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან პირისპირი ფორმით. ა(ა)იპ სენაკის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის გაერთიანების დირექტორის 21.05.2025 წლის #46 ბრძანებით დამტკიცებული კურიკულუმის შერჩევის, გაზიარების, შეფასებისა და განვითარების მარეგულირებელი წესში გაწერილია შერჩეული კურიკულუმის გაზიარების მექანიზმები. ამ მიზნებისთვის დაინტერესებულ მხარეებს წარმოადგენენ: მშობლები, დაწესებულების პერსონალი, თემი, მუნიციპალიტეტი. ხოლო გაზიარებისთვის დაწესებულება იყენებს „საკომუნიკაციო გეგმის შედგენის წესში“ ( ბრძანება: #205 თარიღი: 2024წ.23 დეკემბერი) წინასწარ განსაზღვრულ საკომუნიკაციო საშუალებებს. დაწესებულებამ წარმოადგინა სამუშაო ჯგუფის ოქმი # 7 2025წ.28.09 კურიკულუმის გაზიარების შესახებ , სადაც აღწერილია ,როგორ მოხდა შერჩეული კურიკულუმის გაზიარება ა(ა) იპ სენაკის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის გაერთიანების მიერ დაინტერესებულ მხარეებთან : გაერთიანების მეთოდისტები, ბაღის გამგეები,მუნიციპალიტეტის წარმომადგენელი . ასევე მტკიცებულებად დაფიქსირდა ოქმი, სადაც აღწერილია როგორ მოხდა კურიკულუმის გაზიარება საბავშვო ბაღის მიერ მშობლებთან,დაწესებულების წარმომადგენელთან და თემთან. ( ოქმი # 1 2025წ. 17. 10 )
აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

..........................................................................................................................................................................................................................
..........................................................................................................................................................................................................................

რეკომენდაცია

..........................................................................................................................................................................................................................
..........................................................................................................................................................................................................................

რჩევა

..........................................................................................................................................................................................................................
..........................................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

..........................................................................................................................................................................................................................
..........................................................................................................................................................................................................................

დასტურდება (მტკიცებულებები):
*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*
1 ა(ა)იპ სენაკის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის გაერთიანების დირექტორის 21.05.2025 წლის #46 ბრძანებით დამტკიცებული კურიკულუმის შერჩევის, გაზიარების, შეფასებისა და განვითარების მარეგულირებელი წესი
2. ა(ა)იპ სენაკის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის გაერთიანების დირექტორის 1.10.2024 წლის #169 ბრძანებით დამტკიცებული 2დან 5 წლამდე,შერეული და სასკოლო მზაობის ჯგუფებში კურიკულუმი თამაში.
3. ა(ა)იპ სენაკის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის გაერთიანების დირექტორის 27.02. 2026წლის #22 ბრძანება : ადრეული განათლების კურიკულუმი „თამაში“ და სასკოლო მზაობის პროგრამა ,,თამაში”
4. ოქმი # 7 (2025წ.28.09 )
5. ოქმი # 1 2025წ. 17. 10 )
6.ინტერვიუ,ფოტო მასალა

| შეფასება: | | | |
|---|---|---|---|
| 2.1. კურიკულუმის დაგეგმვა | | | |
| შეესაბამება ☒ | მეტწილად შეესაბამება ☐ | ნაწილობრივ შეესაბამება ☐ | არ შეესაბამება ☐ |

## 2.2. კურიკულუმის განხორციელება

### 2.2.1. დაწესებულებაში მოქმედებს საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის პრაქტიკა

1. საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვა შეესაბამება კურიკულუმით განსაზღვრულ პერიოდულობას და ხანგრძლივობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებამ წარმოადგინა ა(ა) იპ სენაკის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის გაერთიანების დირექტორის მიერ დამტკიცებული,, საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსების შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესი“( ბრძანება #206 2024წ. 23 დეკემბერი ) სადაც გაწერილი საგანმანათლებლო პროცესის პერიოდულობა და ხანგრძლივობა შემდეგნაირია: მოკლევადიანი (კვირის) და გრძელვადიანი ( წლის) აღნიშნული გეგმები შეესაბამება კურიკულუმით განსაზვრულ პერიოდულობას და ხანგძლივობას. წესში გაწერილია როგორ და რა პერიოდით იგეგმება სასწავლო პროცესი,ვინ მონაწილეობს სასწავლო პროცესში, რომ პროცესი არის თანამონაწილეობითი და მასში ჩართულია როგორც ჯგუფის აღმზრდელ მასწავლებელი , ასევე სხვა საგანმანათლებლო პერსონალი,რომელიც უშუალოდ მუშაობს ბავშვთან. ინდივიდუალური გეგმა შეიძლება წარმოდგენილი იყოს ცალკე დოკუმენტის სახით ,როგორც ბავშვის პორტფოლიოს ნაწილი ან საერთო გეგმაში ინდივიდუალიზაციის გრაფის არსებობით ან დაწესებულების გარე სერვისის პროვაიდერის ( ადრეული ინტერვეციის ცენტრის ,განვითარების ცენტრის და სხვა) მიერ შემუშავებული ინდივიდუალური გეგმის სახით. ა(ა) იპ სენაკის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის გაერთიანების დირექტორის მიერ დამტკიცებულ ,, საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსების შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესში ( ბრძანება #206 2024წ. 23 დეკემბერი ) მითითებულია, რომ საგანმანათლებლო პროცესის პერიოდულობის და ხანგძლივობის ფორმები დამტკიცებულია გაერთიანების დირექტორის მიერ. ( ბრძანება # 60 თარიღი: 2025წ. 10 ივნისი. ) აღნიშნული გეგმები შეესაბამება დეკლარირებულ კურიკულუმს და უზრუნველყოფს მის განხორციელებას ,, საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმის,შეფასებისა და რესურსების შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესის მუხლი მე-3 საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვა , მე-2 და მე-5 ქვეპუნქტის შესაბამისად.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

..........................................................................................................................................................................................................
.......................................................................................................................................................................................................

რეკომენდაცია

..........................................................................................................................................................................................................
..........................................................................................................................................................................................................

რჩევა

..........................................................................................................................................................................................................
..........................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

..........................................................................................................................................................................................................
..........................................................................................................................................................................................................

## 2. კურიკულუმის შესაბამისი გეგმა/გეგმების შემუშავება თანამონაწილეობითი პროცესია და ხორციელდება ჯგუფის საგანმანათლებლო პერსონალის მიერ

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებაში კურიკულუმის შესაბამისი გეგმების შემუშავება თანამონაწილეობითი პროცესია,რომლის შედგენაში ჩართული არიან: აღმზრდელ მასწავლებელი, მეორე ცვლის მასწავლებელი, მუსიკის მასწავლებელი ,სპეც მასწავლებელი , რაც განსაზღვრულია ,, საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვისა და რესურსების შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესით.“( ბრძანება: #206 თარიღი: 23.12.2024წ ) გრძელვადიანი გეგმა იქმნება გაერთიანების დირექტორის ბრძანებით შექმნილი სამუშაო ჯგუფის მიერ. ინტერვიუს დროს გაერთიანების დირექტორმა აღნიშნა, რომ ცალკე გრძელვადიანი გეგმის შექმნაზე სამუშაო ჯგუფი არ არის. თუმცა არის კურიკულუმის დაგეგმვის,გაზიარების და შეფასების ჯგუფი ( ბრძანება # 169 თარიღი : 2024წ. 1 .10 ( დანართი #4) ,სწორედ ამ ჯგუფის მიერ მოხდა გრძელვადიანი გეგმების შემუშავება. მოკლევადიანი გეგმა იქმნება თითოეული ჯგუფის ყველა იმ საგანმანათლებლო პერსონალის მიერ, რომელიც უშუალოდ მუშაობს ბავშვთან. დაგეგმვა ეხება კონკრეტული ჯგუფის საგანმანათლებლო პროცესს და შესაბამისად დაგეგმვას ახორციელებს ამ ჯგუფის საგანმანათლებლო პერსონალი. ეს შესაძლოა იყოს აღმზრდელ მასწავლებელი და მეორე ცვლის აღმზრდელი .მათ უნდა განსაზღვრონ რა უნდა გააკეთონ,როგორ უნდა გააკეთონ და რატომ უნდა გააკეთონ,რათა პროცესი მათი ჯგუფის ბავშვების ინტერესებზე და შესაძლებლობაზე იყოს მორგებული. ვიზიტის დროს წარმოდგენილი გრძელვადიანი და მოკლევადიანი გეგმების ფორმები ცხადყოფს, რომ პროცესი გაწერილი წესის შესაბამისად მომდინარეობს. პერსონალთან ინტერვიუთი ვლინდება აღმზრდელ მასწავლებლისა და სხვა საგანმანათლებლო პერსონალის თანამონაწილეობა გეგმების შემუშავებაში.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკაორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

........................................................................................................................................................................................................................
........................................................................................................................................................................................................................

რეკომენდაცია

........................................................................................................................................................................................................................
........................................................................................................................................................................................................................

რჩევა

........................................................................................................................................................................................................................
........................................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………
……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

### 3. საგანმანათლებლო პროცესის ფარგლებში შექმნილი დოკუმენტაცია ასახავს ჯგუფის საჭიროებებსა და ინტერესებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ა(ა) იპ სენაკის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის გაერთიანების დირექტორის მიერ დამტკიცებული „საგანამანათლებლო პროცესების დაგეგმის, შეფასების და რესურსების შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესი“ ( ბრძანება: # 206 თარიღი: 23.12.2024წ ) განსაზღვრავს საგანმანათლებლო პროცესის ფარგლებში შემდეგი დოკუმენტაციის წარმოებას:

1. დღის განრიგი
2. აღმზრდელის პორტფოლიო
3. სხვა საგანმანათლებლო პერსონალის პორტფოლიო
4. ბავშვის ინდივიდუალური პორტფოლიო

დაწესებულებამ წარმოადგინა დოკუმენტაცია ,რომელშიც იკითხება ჯგუფის საჭიროებები,ინტერესები , რაც ვლინდება საგანმანათლებლო პერსონალის ჩანაწერებში,გეგმებში(კვირის გეგმა) . მოკლევადიან გეგმის ფორმაში( შაბლონი) იკითხება რეფლექიის/კვირის ანალიზის გრაფა, რომელსაც საჭიროებებზე დაკვირვების და ინდივიდუალიზაციისთვის გამოიყენებენ. ინტერვიუს დროს აღმზრდელმა აღნიშნა : ,, აქტივობებისა და თამაშების დაგეგმავა ბავშვების ინტერესების, ასაკობრივი თავისებურებების და იდივიდუალური საჭიროებების მიხედვით მოხდება , გეგმის შედგენისას კი მიზნებს დავისახავთ კურიკულუმიდან გამომდინარე .“ აღნიშნული ინდიკატორი მოიაზრებს ბავშვებს,როგორც ჯგუფის და ბავშვის როგორც ინდივიდის ინტერესების და საჭიროებების გათვალისწინებას საგანმანათლებლო პროცესში და შესაბამის დოკუმენტირებას.ბავშვის პორტფოლიო ასახავს ინდივიდუალურ განვითარებას, ნამუშევრებს, დაკვირვებებს, შეფასებასა და მშობელთა უკუკავშირს, რაც ხელს უწყობს ბავშვის აქტიურ მონაწილეობას საგანმანალებლო პროცესში. საგანმანათლებლო პროცესში შექმნილი დოკუმენტაცია კი ასახავს ჯგუფის ინტერესებს.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………
……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

რეკომენდაცია

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………
……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

რჩევა

..................................................................................................................................................................................................................................

..................................................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

..................................................................................................................................................................................................................................

..................................................................................................................................................................................................................................

## 4. საგანმანათლებლო პროცესის ფარგლებში შექმნილი დოკუმენტაცია ასახავს ბავშვის ინდივიდუალურ საჭიროებებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებაში საგანმანათლებლო პროცესის ფარგლებში იქმნება შემდეგი დოკუმენტაცია:

- დღის განრიგი
- აღმზრდელის პორტფოლიო
- სხვა საგანმანათლებლო პერსონალის პორტფოლიო
- ბავშვების ინდივიდუალური პორტფოლიოები

შექმნილი დოკუმენტაცია ასახავს ბავშვის ინდივიდუალურ საჭიროებებს, მოკლევადიანი გეგმების ფორმები მოიცავს შემდეგ ასპექტებს: ჯგუფის საჭიროებებსა და ინტერესებს, ბავშვის ინდივიდუალური საჭიროებებს, თამაშზე ორიენტირებულ პროცესს, სხვადასხვა თამაშზე ორიენტირებას, სხვადასხვა გარემოში (შიდა/გარე) საგანმანათლებლო პროცესის წარმართვის შესაძლებლობას, ბავშვის მიერ ინიცირებულ აქტივობებს. საგანმანათლებლო პროცესი ითვალისწინებს მრავალფეროვნებას (ასაკი,განვითარების დონე , საჭიროებები,ინტერესები, პიროვნული თავისებურებები, სოციალური და კულტურული თავისებურებები ) და პასუხობს მას შესაბამისი მრავალფეროვანი გამოცდილებების ,თამაშების,აქტივობების შეთავაზებით. მოკლევადიანი გეგმებითა და დღის განრიგით დადგენილი აქტივობები, ბავშვებს აძლევს სხვადასხვა ტიპის თამაშში ჩართვის შესაძლებლობას. ბავშვის ინდივიდუალური საჭიროებები, ინტერესები ,პრიორიტეტები ასახული უნდა იყოს შესაბამის დოკუმენტაციაში ,გეგმებში, საგანმანათლებლო პერსონალის ჩანაწერებში . აღნიშნული დოკუმანტაცია თავს უნდა იყრიდეს ბავშვისა და საგანმანათლებლო პერსონალის პორტფოლიოში. არსებული თანხვედრაშია ა(ა) იპ სენაკის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის გაერთიანების დირექტორის მიერ დამტკიცებულ ,,საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსების შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესთან.“ ( ბრძანება :#206 თარიღი: 23.12.2024წ ) მუხლი 4 ინდივიდუალიზაციის ასპექტი. კერძოდ მოკლევადიან გეგმებში ( შაბლონი) ინდივიდუალიზაციის შეტანა/გაწერით.

აღნიშნულიდან გამომინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

…………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………
…………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

რეკომენდაცია

…………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………
…………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

რჩევა

…………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………
…………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

…………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………
…………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

## 5. თამაში/თამაშის ელემენტები საგანმანათლებლო პროცესის, მათ შორის ტრანზიციის წარმართვის ძირითადი ხერხია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებაში საგანმანათლებლო პროცესის წარმართვის ძირითადი ხერხი არის თამაში/თამაშის ელემენტები. საგანმანათლებლო პროცესი მიმდინარეობს თამაშით, რაც დასტურდება დაწესებულების მიერ შერჩეული კურიკულუმით, წარმოდგენილი( კვირის გეგმებით) . თამაშისას ბავშვი სწავლობს ,უკვე შეძენილ ცოდნასა და უნარებს ამჟღავნებს , აქვს საშუალება გამოსცადოს ახალი იდეები,გააკეთოს აღმოჩენები,მოსინჯოს საკუთარი ძალები ,გაითვალისწინოს სხვისი მოსაზრება და მხარი დაუჭიროს მეგობარს. თამაშისას იზრდება ბავშვის შინაგანი მოტივაცია, ჩართულობა და შესაბამისად , საგანმანათლებლო ხარისხი . ამ დროს სწორედ საგანმანათლებლო პერსონალი ქმნის სხვადასხვა თამაშებისათვის სათანადო პირობებს და მხარს უჭერს ბავშვების ჩართულობას ამ პროცესში. ამ დროს უმთავრესია ბავშვის მიერ დანახული ,ანუ მოთამაშის სუბიექტის მხრიდან აღიარება ,რომ ეს ნამვილად თამაშია . დიდი და მცირე ტრანზიციების წარმართვის ძირითადი ხერხი არის თამაში/თამაშის ელემენტები. ერთი აქტივობიდან მეორეზე გადასვლის დროს ბაღი გამოიყენებს: მუსიკას, ჟესტებს, ვიზუალურ მინიშნებებს. აღნიშნული დასტურდება მოკლევადიან გეგმებში თამაში/თამაშის ელემეტების გაწერით.არსებობს კიდევ მრავალი შესაძლებლობა ,რითაც შეიძლება აღმზრდელმა ხელი შეუწყოს თამაშის გამოყენებას საგანმანათლებლო პროცესში : ა) ფიზიკური გარემოს იმგვარად მოწყობა,რომ თითოეული ტიპის თამაშისათვის საკმარისი სივრცე იყოს როგორც შენობის ჯგუფებში,ასევე ეზოში. ბ) დღის განრიგის ისე ორგანიზება ,რომ ბავშვები დაწესებულებაში გატარებულ ძირითად დროს თამაშში ატარებდნენ. გ) თამაშის გასართულებლად და მრავალფეროვნებისათვის კონკრეტული სტრატეგიების გამოყენება.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

.......................................................................................................................................................................................................................

.......................................................................................................................................................................................................................

რეკომენდაცია

.......................................................................................................................................................................................................................

.......................................................................................................................................................................................................................

რჩევა

.......................................................................................................................................................................................................................

.......................................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.......................................................................................................................................................................................................................

.......................................................................................................................................................................................................................

### 6. დღის განმავლობაში თითოეულ ბავშვს აქვს სხვადახვა ტიპის თამაშში ჩართვის საშუალება როგორც ინდივიდუალურად, ისე ჯგუფურად როგორც შენობაში, ისე მის გარეთ

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დღის განრიგი და მოკლევადიანი გეგმები ისეა აწყობილი ,რომ დღის განმავლობაში თითოეულ ბავშვს აქვს სხვადასხვა ტიპის თამაშებში ჩართვის საშუალება, როგორც ინდივიდუალურად, ასევე ჯგუფურად, როგორც შენობის გარეთ ასევე შიგნით. შიდა და გარე გარემო ბავშვს ფიზიკური მოძრაობის, ბავშვებთან ურთიერთობის, ერთად თამაშის, კვლევის, საჭიროების შემთხვევაში, განმარტოების შესაძლებლობას აძლევს. მაგ: თავისუფალი თამაში ბავშვის/ბავშვების სურვილით, მოძრავი თამაში, წესებიანი თამაში, სამაგიდო თამაში, წარმოსახვითი თამაში ,კონსტრუქციული თამში, კვლევითი თამაში, შემოქმედებითი თამაში, დრამატული თამაში, ბავშვების სურვილის მიხედვით . აღნიშნული თამაშის ტიპები დაწესებულების მიერ შერჩეული კურიკულუმის შესაბამისია .ეს ყველაფერი ასახულია გეგმებში,გარემოს ( შიდა და გარე სივრცეების) მოწყობაში და საგანმანთლებლო პერსონალის /ბავშვების პორტფოლიოებში. ინტერვიუს დროს აღმზრდელ მასწავლებელმა აღნიშნა, რომ აქვს მზაობა და მოტივაცია საგანმანათლებლო პროცესი თამაშის ელემენტებით წარმართოს. დაწესებულების მიერ შერჩეული კურიკულუმი : ადრეული განათლების კურიკულუმი „თამაში“ და სასკოლო მზაობის პროგრამა „თამაში“ მთლიანად ეფუძნება თამაშს.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

.........................................................................................................................................................................................................................
.........................................................................................................................................................................................................................
რეკომენდაცია
.........................................................................................................................................................................................................................
.........................................................................................................................................................................................................................
რჩევა
.........................................................................................................................................................................................................................
.........................................................................................................................................................................................................................
არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება
.........................................................................................................................................................................................................................
.........................................................................................................................................................................................................................

## 2.2.2. დაწესებულების საგანმანათლებლო რესურსი უზრუნველყოფს კურიკულუმით გათვალისწინებული მიზნების მიღწევას

### 1. დაწესებულებაში მოქმედებს საგანმანათლებლო პროცესის რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის მექანიზმი

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებამ წარმოადგინა ა(ა) იპ სენაკის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის გაერთიანების დირექტორის მიერ დამტკიცებული : "საგანამანათლებლო პროცესების დაგეგმის,შეფასების და რესურსებით უზრუნველყოფის წესი" ( ბრძანება : # 206 თარიღი: 2024წ. 23 დეკემბერი ) წესში გაწერილი პროცესი უზრუნველყოფს რესურსების მიწოდებას შეუფერხებლად, რაც მდგომარეობს იმაში,რომ მინიმალური საგანმანათლებლო რესურსების შეძენა ხორციელდება სატენდერო შესყიდვისა და/ან პირდაპირი შესყიდვის გზით.(ჩანაწერი მექანიზმიდან) საგანმანათლებლო პროცესისათვის საჭირო მინიმალური საგანმანათლებლო რესურსების საჭიროების შესახებ ინფორმაციის მიღება და აღნიშნული რესურსების შეძენა ხორციელდება შემდეგი სქემის მიხედვით:

1.მინიმალური საგანმანათლებლო რესურსის განსაზღვრა/განახლება ბაღების მიხედვით
2.შესაძენი საგანმანათლებლო რესურსის ერთიანი ბაზის ფორმირება ბაღების მიხედვით
3.შესყიდვის შესახებ მოთხოვნის გაგზავნა მუნიციპალიტეტში/ შესყიდვის განხორციელება
4.შეძენილი რესურსის მიღება და აღრიცხვა,შეძენილი საგანმანათლებლო რესურსის განაწილება ბაღების მიხედვით
5.შეძენილი საგანმანათლებლო რესურსის განაწილება ჯგუფებში,ხარჯვის აქტი/ საგანმანათლებლო რესურსის ინვენტარიზაცია (დაწესებულების მიერ დადგენილი პერიოდით)

ა(ა) იპ სენაკის მინიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის გაერთიანების დირექტორი ინტერვიუთი ადასტურებს, რომ საგანმანათლებლო რესურსების საჭიროებების შესახებ ინფორმაციის შეგროვება და დამუშავება მოხდება წელიწადში ერთხელ პერიოდული ინვენტარიზაციის გზით. ბავშვის/ჯგუფის ინტერესებისა და ინდივიდუალური საჭიროებებისთვის, ასევე კურიკულუმის დაგეგმილი თუ დაუგეგმავი საჭიროებისთვის, საგანმანათლებლო რესურსებისთვის სარგებლობს თავისუფალი განკარგვის ბიუჯეტით.

ასევე, შესაძლოა გამოყენებულ იქნეს რესურსების მოძიების შემდეგ ალტერნატიული გზები:

**ა) მოგროვება**

მშობლებისა და პერსონალის მიერ მრავალფეროვანი რესურსის შეგროვება კურიკულუმის შესაბამისად

**ბ) დონაცია**

სხვადასხვა ორგანიზაციების დახმარებით საგანმანათლებლო რესურსის მობილიზება

**გ) დამზადება**

საკუთარი ძალებით, ასევე მშობელთა მონაწილეობით მრავალგვარი მეორადი და ღია მასალებით რესურსის დამზადება. დაწესებულებაში საგანმანათლებლო პროცესის რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფა ხდება წესის შესაბამისად. აღნიშნულიდან გამომდინარე წესი იძლევა საშუალებას უზრუნველყოს ბაღი რესურსებით.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

..........................................................................................................................................................................................................................

..........................................................................................................................................................................................................................

რეკომენდაცია

..........................................................................................................................................................................................................................

..........................................................................................................................................................................................................................

რჩევა

..........................................................................................................................................................................................................................

..........................................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………
……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

## 2. დაწესებულებას აქვს კურიკულუმის შესაბამისი საგანმანათლებლო რესურსი ბავშვთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებას განსაზღვრული აქვს კურიკულუმის შესაბამისი საგანმანათლებლო რესურსი ა(ა) იპ სენაკის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის გაერთიანების დირექტორის მიერ დამტკიცებული : ,, საგანამანათლებლო პროცესის დაგეგმის,შეფასების და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესის“ შესაბამისად.( ბრძანება# 206 .თარიღი: 23.12.2024 წ) ინტერვიუს დროს გაერთიანების დირექტორმა აღნიშნა,რომ: ,, დაწესებულებას აქვს კურიკულუმის შესაბამისი საგანმანათლებლო რესურსი, ბავშვთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. მინიმალური საგანმანათლებლო რესურსების ნუსხის განსაზღვრა დოკუმენტის მიხედვით ხორციელდება საგანმანათლებლო პერსონალის ჩართულობით და მტკიცდება გაერთიანების დირექტორის ბრძანებით . ( ბრძანება # 151 2025წ. 27 ოქტომბერი ) საგანმანათლებლო რესურსის ჩამონათვალი ვიზიტის დროს გადამოწმდა და გამოიკვეთა, რომ აღნიშნული ჩამონათვალი ადგილზე ფიქსირდება. ინვენტარიზაციითა და მიღება/ჩაბარების აქტით დასტურდება რესურსების არსებობა ბავშვთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. არსებული ჩამონათვალი შერჩეული კურიკულუმის საგანამანათლებლო რესურსების ტიპებთან თანხვედრაშია. საგანამანათლებლო რესურსი, წიგნების აღრიცხვის/საბავშვო ბიბლიოთეკის აღმწერი დოკუმენტი, რომელიც ადგილზე დათვალერებით გამოიკვეთა არის დაწესებულების ბალანსზე, რაც დასტურდება ბაღის სახელზე არსებული ინვენტარიზაციის დოკუმენტით.

(2024 წ.7.03 ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ # 28
2024წ 18.03 ხელშეკრულება გამარტივებული შესყიდვის შესახებ .# 30
2024წ. 26.03 ხელშეკრულება გამარტივებული შესყიდვის შესახებ # 31
2025წ. 11. 06 ხელშკრულება სახელმწიფო შესყოდვის შესახებ #27
2025წ. 17.12 ხელშეკრულება #63 2025წ.27 .10. ხელშეკრულება # 44)

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

..........................................................................................................................................................................................................................................

..........................................................................................................................................................................................................................................

რეკომენდაცია

..........................................................................................................................................................................................................................................

..........................................................................................................................................................................................................................................

რჩევა

..........................................................................................................................................................................................................................................

..........................................................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

..........................................................................................................................................................................................................................................

..........................................................................................................................................................................................................................................

## 2.2.3. დაწესებულების შიდა და გარე სივრცეების მოწყობა უზრუნველყოფს კურიკულუმით გათვალისწინებული მიზნების მიღწევას

### 1. ჯგუფური ოთახის და გარე სივრცის ფიზიკური გარემოს მოწყობა განსახორციელებელი კურიკულუმის შესაბამისია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების მიერ შერჩეული კურიკულუმი განსაზღვრავს ფიზიკური გარემოს მოწყობის სპეციფიკას შემდეგნაირად: ბავშვების სათამაშო ოთახები სხვადასხვა ტიპის სივრცეებად არის დაყოფილი– თაროები/კარადები ბავშვის სიმაღლის შესაბამისი და ღია არის. ჯგუფური ოთახების ფიზიკური სივრცის მოწყობა და გარე სივრცის/ეზოს მოწყობა დაწესებულებაში ისე არის მოწყობილი, რომ ბავშვებს მრავალფეროვან გამოცდილებებში მონაწილეობის საშუალება და სხვადახვა უნარის განვითარების შესაძლებლობა აქვთ.

დაწესებულებაში არსებული ჯგუფური ოთახების ფიზიკური სივრცის მოწყობა კურიკულუმის შესაბამისია, რაც ვლინდება შემდეგში:

..........................................................................................................................................................................................................
..........................................................................................................................................................................................................
არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება
..........................................................................................................................................................................................................
..........................................................................................................................................................................................................

## 3. დაწესებულებაში ბავშვის ჩარიცხვა და ამორიცხვა ხორციელდება დაწესებულების მიერ დადგენილი წესის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

სტატუსის მაძიებელს წარმოდგენილი აქვს ბავშვის ჩარიცხვა ამორიცხვის მარეგულირებელი წესი ( ბრძ:N 184 31/12/2025 ).რომელიც დაამტკიცა ა(ა)იპ სენაკის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის გაერთიანების დირექტორმა, წესის მიზანია ბავშვის რეგისტრაციისა და ჩარიცხვა-ამორიცხვის სისტემის რეგულირება, პროცესის გამჭვირვალობის უზრუნველყოფა და ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების თანაბარი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა .ბავშვის ჩარიცხვა- ამორიცხვის მარეგულირებელი წესი (ბრძ:N 184 31/12/2025 ). რეგისტრაციის პროცესში არეგულირებს საკითხებს როგორიცაა, პრიორიტეტული ჯგუფების შერჩევა (სოც.დაუცველები, ინკლუზიური

საჭიროების მქონე, დედმამიშვილი და.ა.შ.) ბავშვის ჩარიცხვა - ამორიცხვის წესს დანართად ახლავს სარეგისტრაციო ბარათი და მშობლის კითხვარი. აღნიშნულს ადასტურებს დაწესებულების პერსონალთან ინტერვიუ. დაწესებულება ბავშვების ჩარიცხვა-ამორიცხვის პროცესისის ადმინისტრირებას ახორციელებს მატერიალური ფორმით. ბავშვის ჩარიცხვა ამორიცხვის მარეგულირებელი წესი (ბრძ:N 184 31/12/2025) შევსებული განაცხადი მიღება ხდება მატერიალური ფორმით და ადგილზე გაერთიანებაში ფიზიკურად მისვლით. აღნიშნულს ადასტურებს დაწესებულების პერსონალთან ინტერვიუ. ბავშვების ჩარიცხვა მიმდინარეობს უწყვეტობის პრინციპით, რაც ასევე დადასტურდა დაწესებულების ადმინისტრაციასთან ინტერვიუთ.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

...........................................................................................................................................................................................................

...........................................................................................................................................................................................................

რეკომენდაცია

...........................................................................................................................................................................................................

...........................................................................................................................................................................................................

რჩევა

...........................................................................................................................................................................................................

...........................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

...........................................................................................................................................................................................................

...........................................................................................................................................................................................................

## 4. დაწესებულება აწარმოებს ბავშვებისა და პერსონალის პირად საქმეებს დადგენილი წესის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებაში მოქმედებს ბავშვებისა და პერსონალის პირადი საქმეების წარმოების მექანიზმი, რომელიც გამომდინარეობს პერსონალის მართვის მარეგულირებელ დოკუმენტიდან ( ბრძ:N 3/1 16/01/20 მუხლი 16) და ბავშვის ჩარიცხვა ამორიცხვის წესიდან(ბრძ:N184 31/12/2025 წელი მუხლი 5 პუნქტი 6) .სადაც გაწერილია იმ დოკუმენტების ჩამონათვალი, რაც წარმოადგენს პირადი საქმის ნაწილს, რასაც ადასტურებს დაწესებულების მიერ წარმოდგენილი პერსონალის მართვის მარეგულირებელი წესი: (ბრძ:N3/1 16/01/2026 წელი. მუხლი 16 ) და ბავშვის ჩარიცხვა ამორიცხვის მარეგულირებელი წესი (ბრძ:N 184 31/12/2025)

ბავშვთა პირადი საქმეების წარმოებას ახორციელებს საბავშვო ბაღის აღმზრდელი შესაბამისად პასუხისმგებელ პირად განისაზღვრება აღმზრდელი. დოკუმენტაცია ინახება პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ კანონის შესაბამისად.

პერსონალის მართვის მარეგულირებელი წესის თანახმად, პერსონალის პირად საქმეს აწარმოებს ბაღების გაერთიანება. შინაგანაწესის გაცნობის ხელწერაც აქ ინახება . პირადი საქმე არის კონფიდენციალური, შეიცავს ამ წესით განსაზღვრულ ყველა დოკუმენტაციას. პირადი საქმე

ინახება ბაღების გაერთიანებაში. პირადი საქმის წარმოების წესში (ბრძ:N338 31/12/2025 წელი. მუხლი 16 ) განსაზღვრულია კანონმდებლობით განსაზღვრული სავალდებულო დოკუმენტაცია. აღნიშნულს ადასტურებს წარმოდგენილი მარეგულირებელი წესები და პერსონალთან ინტერვიუ,ისინი ადასტურებენ, რომ მათი პირადი საქმეში არის ყველა იმ დოკუმენტის ჩამონათვალი ,რომელიც პირადი საქმის წარმოების წესში აქვთ გაწერილი , ასევე დაწესებულებაში პერსონალის პირადი საქმე განახლებადია.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

რეკომენდაცია

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

რჩევა

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები*

1. პროცესების აღმწერები და ხარისხის უზრუნველყოფის წესი, (ბრძ.N 189. 31/12/2025 წელი)
2. ბავშვის ჩარიცხვა ამორიცხვის მარეგულირებელი წესი( ბრძ:N 184 31/12/2025 )
3. პერსონალის მართვის მარეგულირებელი წესი: (ბრძ:N3/1 16/01/2026 წელი. მუხლი 16 )
4. გაერთიანებისა და დაწესებულების პერსონალთან ინტერვიუ
5. ბავშვისა და პერსონალის პირადი საქმე

| შეფასება: |
| --- |

| **4.2 პროცესების მართვა** | | | |
|---|---|---|---|
| შეესაბამებ.ა ☒ | მეტწილად შეესაბამება ☐ | ნაწილობრივ შეესაბამება ☐ | არ შეესაბამება ☐ |

## 4.3. მატერიალური რესურსი

### 4.3.1. დაწესებულების მატერიალური რესურსი გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ ბავშვთა რაოდენობას

აღნიშნული კომპონენტის შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილია დანართში „4.3. კომპონენტით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასების კითხვარი“.

| შეფასება: | | | |
|---|---|---|---|
| **4.3 მატერიალური რესურსი** | | | |
| შეესაბამება ☐ | მეტწილად შეესაბამება ☐ | ნაწილობრივ შეესაბამება ☒ | არ შეესაბამება ☐ |

## 4.4. კვების ორგანიზება და კვებითი რაციონი

### 4.4.1. დაწესებულების მიერ შეთავაზებული კვების მომსახურება ხელს უწყობს ბავშვის ჯანმრთელობასა და განვითარებას

აღნიშნული კომპონენტის შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილია დანართში „4.4. კომპონენტით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასების კითხვარი“.

| შეფასება: | | | |
|---|---|---|---|
| **4.4 კვების ორგანიზება და კვებითი რაციონი** | | | |
| შეესაბამება ☒ | მეტწილად შეესაბამება ☐ | ნაწილობრივ შეესაბამება ☐ | არ შეესაბამება ☐ |

## 4.5. სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები

### 4.5.1 დაწესებულებაში დაცულია სანიტარული და ჰიგიენური ნორმები

აღნიშნული კომპონენტის შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილია დანართში „4.5. კომპონენტით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასების კითხვარი“.

| შეფასება: | | | |
|---|---|---|---|
| 4.5 სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები | | | |
| შეესაბამება ☐ | მეტწილად შეესაბამება ☐ | ნაწილობრივ შეესაბამება ☒ | არ შეესაბამება ☐ |

## 4.6. ფიზიკური და ემოციური უსაფრთხოება

### 4.6.1. დაწესებულებაში დაცულია პერსონალის და ბავშვების ფიზიკური უსაფრთხოება

1. დაწესებულება უზრუნველყოფს დაწესებულების ტერიტორიაზე პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენას და საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

სტატუსის მაძიებელმა წარმოადგინა დაწესებულების ტერიტორიაზე პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მექანიზმი (ბრძ: N187 31/12/2025), სადაც გაწერილია პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის პროცესი. . ბავშვებთან მომუშავე პერსონალს გავლილი აქვს პირველადი გადაუდებელი დახმარების ტრენინგები, რომელიც ჩატარებულია წითელი ჯვრის მიერ, რასაც ადასტურებს წარმოდგენილი ( ინგლისურენოვანი) სერტიფიკატები,რომელიც ვალიდურია 01/04/2026 წლიდან 01/04 /2027 წლის ჩათვლით დაწესებულებას ჰყავს ექთანი აქვს ექთნის სივრცე. დაწესებულებას არ აქვს საგანგებო მართვის გეგმა , წარმოდგენილი აქვს შესაბამისობის გეგმა 12 თვის ვადით. (მეტწილი)

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა მეტწი;ლად არის დაკმაყოფილებული

.................................................................................................................................................................................................................................

.................................................................................................................................................................................................................................

რეკომენდაცია

ინდიკატორის დაკმაყოფილებისთვის დაწესებულებამ უზრუნველყოს შესაბამისობის გეგმაში გაწერილი აქტივობების ჯეროვნად შესრულება.

.................................................................................................................................................................................................................................

.................................................................................................................................................................................................................................

რჩევა

.................................................................................................................................................................................................................................

.................................................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.................................................................................................................................................................................................................................

.................................................................................................................................................................................................................................

## 2. დაწესებულების ტერიტორიაზე არსებული მცენარეები არ წარმოადგენენ საფრთხეს ბავშვის და პერსონალის ჯანმრთელობისთვის

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს ბავშვის ფიზიკური და ემოციური უსაფრთხოების ,გარემოსთან უმტკივნეულო ადაპტაციის და ტრანზაციის პროცესისი მარეგულირებელი წესი (ბრძ: N 186 31/12/2025 ) რომელიც ასევე მოიცავს დაწესებულების ტერიტორიაზე მცენარეების უსაფრთხოების დაცვის მექანიზმს, (ბრძ:N186 მუხლი 2) რაც გულისხმობს დაწესებულების ტერიტორიაზე ყველა მცენარის აღრიცხვას და შესწავლას კომპეტენტური პირის მიერ. ყველა საფრთხის შემცველი მცენარის ამოღებას დაწესებულების ტერიტორიიდან, უსაფრთხო და რეკომენდირებული მცენარეების ჩამონათვალის მიწოდებას კომპეტენტური პირი/ორგანოს მიერ ნებისმიერი მცენარის კონტროლს და სამოქმედო გეგმის გაწერას .

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია .

.................................................................................................................................................................................................................................

.................................................................................................................................................................................................................................

რეკომენდაცია

........................................................................................................................................................................................................................................
........................................................................................................................................................................................................................................
რჩევა
........................................................................................................................................................................................................................................
........................................................................................................................................................................................................................................
არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება
........................................................................................................................................................................................................................................
........................................................................................................................................................................................................................................

## 3. კურიკულუმის ფარგლებში დაწესებულების ტერიტორიიდან ბავშვების გაყვანისას დაცულია ბავშვების უსაფრთხოება და პროცესი ხორციელდება მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის წერილობითი ნებართვის საფუძველზე

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

სტატუსის მაძიებელს წარმოდგენილი აქვს ბავშვის ფიზიკური და ემოციური უსაფრთხოების .გარემოსთან უმტკივნეულო ადაპტაციის და ტრანზაციის პროცესის მარეგულირებელი წესი ( ბრძ N 186 31/12/2025 წ მუხლი 3), რომელიც მოიცავს კურიკულუმის ფარგლებში დაწესებულების ტერიტორიიდან ბავშვების გაყვანისას უსაფრთხოების ნორმების დაცვის მარეგულირებელ მექანიზმს (მუხლი 3) ასევე მშობლების ინფორმირებულობას და ნებართვას (წერილობით ფორმით) ბავშვის დაწესებულების ტერიტორიიდან გაყვანის შესახებ. ბავშვთა უსაფრთხო ტრანსპორტირებისთვის დეტალური გეგმის გაწერას. სტატუსის მაძიებელს აქვს მშობლის წერილობითი ნებართვის შაბლონი დაწესებულების ტერიტორიიდან ბავშვის გაყვანაზე, აღნიშნულს ადასტურებს წარმოდგენილი შაბლონის ფორმა და აღმზრდელთან ინტერვიუ,რომლებმაც იციან ,რომ კურიკულუმის ფარგლებში დაწესებულების ტერიტორიიდან ბავშვის ყოველი გაყვანისას დაწესებულება ვალდებულია უზრუნველყოს მშობლის ან კანონიერი წარმომადგენლის ინფორმირება .ასევე ბავშვის კანონიერი წარმომადგენელი შეილება იყოს ნებისმიერი სრულწლოვანი პირი, რომელზეც გაცემულია მინდობილობა,იმ შემთხვევაში თუ ბავშვი გაჰყავს სხვა პირს უნდა არსებობდეს მშობლის ან კანონიერი წარმომადგენლის წერილობითი განცხადება დაწესებულების ხელმძღვანელის სახელზე,რომლებმაც იციან ,რომ კურიკულუმის ფარგლებში დაწესებულების ტერიტორიიდან ბავშვის ყოველი გაყვანისას დაწესებულება ვალდებულია უზრუნველყოს მშობლის ან კანონიერი წარმომადგენლის ინფორმირება .ასევე ბავშვის კანონიერი წარმომადგენელი შეილება იყოს ნებისმიერი სრულწლოვანი პირი, რომელზეც გაცემულია მინდობილობა,იმ შემთხვევაში თუ ბავშვი გაჰყავს სხვა პირს უნდა არსებობდეს მშობლის ან კანონიერი წარმომადგენლის წერილობითი განცხადება დაწესებულების ხელმძღვანელის სახელზე.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

..........................................................................................................................................................................................................................................
..........................................................................................................................................................................................................................................
რეკომენდაცია
..........................................................................................................................................................................................................................................
..........................................................................................................................................................................................................................................
რჩევა
..........................................................................................................................................................................................................................................
..........................................................................................................................................................................................................................................
არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება
..........................................................................................................................................................................................................................................
..........................................................................................................................................................................................................................................

### 4.6.2. დაწესებულებაში დაცულია ბავშვების ემოციური უსაფრთხოება

#### 1. დაწესებულების გარემო თითოეული ბავშვისთვის პროგნოზირებადია-ბავშვები იცნობენ დღის განრიგს და აქვთ ინფორმაცია დღის განმავლობაში განსახორციელებელი აქტივობების შესახებ

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

სტატუსის მაძიებლმა წარმოადგინა დაწესებულების დასურათებული დღის განრიგი, რომელიც ასახავს ბავშვებისათვის პროგნოზირებადი დღის განრიგის არსებობას. ბავშვები თავს უფრო დაცულად გრძნობენ როცა აქვთ გარკვეული მოლოდინები მიმდინარე დღის მიმართ. დღის განრიგი საგანმანათლებლო პროცესს უფრო თანმიმდევრულს და ორგანიზებულს ხდის, რაც გარკვეულ წესრიგს უზრუნველყოფს.დაწესბულების მიერ წარმოდგენილი დღის განრიგი არის დასურათებული და ითვალისწინებს ცვლილებების შეტანას. აღნიშნულს ადასტურებს დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დღის განრიგი,რომელიც საგანმანათლებლო პროცესს უფრო თანმიმდევრულს ორგანიზებულს ხდის რაც გარკვეულ წესრიგს უზრუნველყოფს.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.
..........................................................................................................................................................................................................................................
..........................................................................................................................................................................................................................................
რეკომენდაცია

.......................................................................................................................................................................................................................
.......................................................................................................................................................................................................................
რჩევა
.......................................................................................................................................................................................................................
.......................................................................................................................................................................................................................
არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება
.......................................................................................................................................................................................................................
.......................................................................................................................................................................................................................

## 2. დაწესებულების პერსონალი იცნობს ბავშვის უფლებებს და იცავს მათ საქმიანობის წარმართვის პროცესში

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებამ წარმოადგინა ,,ბავშვზე ძალადობის ეჭვის შემთხვევაში მარეგულირებელი წესი'' (ბრძ: N183 31/12/2025 წელი, რომლითაც მტკიცდება , რომ აღმზრდელები და სხვა პერსონალი იყენებენ არაძალადობრივი მოპყრობის მეთოდებს. ბაღი გამოყოფს ბავშვთა მიმართ ძალადობის , თავიდან აცილებისა და ბავშვთა ძალადობისგან დაცვაზე პასუხისმგებელ პირს,(რეფერირებაზე პასუხისმგებელი პირის გამოყოფის შესახებ) რომელიც მტკიცდება რეფერირებაზე პასუხისმგებელი პირების პასუხისმგებელი პირების დანიშვნის ბრძანება ( ბრძ: N185 31/12/2025 წელი) უზრუნველყოფილია მშობლებთან და თემთან მჭიდრო ურთიერთობა. ბავშვთა უფლებების დაცვა დაწესებულების ერთ-ერთი ღირებულებაა. აღნიშნულ ინდიკატორს ასევე ადასტურებს დაწესებულების პერსონალთან ინტერვიუ,რომლებმაც იციან,რომ დაწესებულებაში უმნიშვნელოვანესია არაძალადობრივი გარემოს შექმნა ,სადაც, ბავშვს პატივს სცემენ, როგორც ინდივიდს, მასზე ზრუნავენ, არ აშინებენ და არ აიძულებენ.ისინი ფლობენ ინფორმაციას, ბავშვის მიმართ ძალადობის შედეგებისა და პასუხისმგებლობის ფორმების თაობაზე.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.
.......................................................................................................................................................................................................................
.......................................................................................................................................................................................................................
რეკომენდაცია
.......................................................................................................................................................................................................................
.......................................................................................................................................................................................................................
რჩევა
.......................................................................................................................................................................................................................
.......................................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.......................................................................................................................................................................................................................................

.......................................................................................................................................................................................................................................

## 3. დაწესებულებაში განსაზღვრულია პროცედურები ბავშვზე ძალადობის ეჭვის შემთხვევაში მოქმედებისთვის და იდენტიფიცირებულია რეფერირებაზე პასუხისმგებელი პირი

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

სტატუსის მაძიებელს წარმოდგენილი აქვს დოკუმენტი , ,,ბავშვზე ძალადობის ეჭვის შემთხვევაში მოქმედების მარეგულირებელი წესი’’ (ბრძ:N183 31/12/2025 წელი) სადაც გაწერილია პროცედურები ბავშვზე ძალადობის ეჭვის შემთხვევაში მოქმედებისთვის. დაწესებულებას გათავისებული აქვს საკუთარი როლი და სწორი რეაგირება ძალადობის ნებისმიერი ფორმის გამოვლენის შემთხვევაში ,აღნიშნულს ადასტურებს პერსონალი, რომლებიც იცნობენძალადობის ნიშნებს, რომლის შემჩნებვის შემთხვევაში მიმართავენ ხელმძღვანელ პირს და ცხელ ხაზს. სტატუსის მაძიებელს იდენტიფიცირებული ჰყავს რეფერირებაზე პასუხისმგებელი პირი, რაც დასტურდება ბრძანება:N185 31/12/2025 წელი)

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

.......................................................................................................................................................................................................................................

.......................................................................................................................................................................................................................................

რეკომენდაცია

.......................................................................................................................................................................................................................................

.......................................................................................................................................................................................................................................

რჩევა

.......................................................................................................................................................................................................................................

.......................................................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.......................................................................................................................................................................................................................................

.......................................................................................................................................................................................................................................

## დაწესებულება ხელს უწყობს ბავშვის გარემოსთან ადაპტაციას და ტრანზიციას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

სტატუსის მაძიებელი ახორციელებს ბავშვის გარემოსთან ადაპტაციის და ტრანზიციის ხელშემწყობ აქტივობებს, რაც დასტურდება დაწესებულების მიერ წარმოდგენილი, ბავშვის ფიზიკური და ემოციური უსაფრთხოების,გარემოს უმტკივნეულო ადაპტაციისა და ტრანზიციის პროცესის მარეგულირებელი წესით ( ბრძ N186 მუხლი 3 31/12 /2025). წესის თანახმად ტრანზიციის პროცესი იყოფა სამ ეტაპად: მზადება, განხორციელება, დასრულება. ადრეულ ასაკში ტრანზიცია მოიცავს პირველად შესვლას ბაღში, ერთი ასაკობრივი ჯგუფიდან მეორეში გადასვლას, სკოლაში წასვლას.ამ პროცესში აღმზრდელები გადამწყვეტ როლს თამაშობენ ბავშვისა და ოჯახის მხარდაჭერაში, ისინი ზრუნავენ რომ ტრანზიციები განვითარების და სწავლის შესაძლებლობად იქცეს და არ იყოს დამთრგუნველი ბავშვისთვის .აღმზრდელებთან ინტერვიუთ დასტურდება, რომ ბაღთან ბავშვების ადაპტაციის კუთხით მოხდება წინასწარი საორიენტაციო შეხვედრები, მშობლების მონაწილეობით.ეს პროცესი შეიძლება იყოს ჯგუფური ან ინდივიდუალური.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

რეკომენდაცია

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

რჩევა

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

## 4. დაწესებულება იცავს ბავშვისა და მისი ოჯახის შესახებ ინფორმაციის კონფიდენციალურობას

### ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

სტატუსის მაძიებელი იცავს ბავშვისა და მისი ოჯახის შესახებ ინფორმაციის კონფიდენციალურობას, რაც დასტურდება დაწესებულების მიერ წარმოდგენილი: ,,ბავშვზე ძალადობის ,ეჭვის შემთხვევაში მოქმედების მარეგულირებელი წესით’’ (ბრძ:N183 31/12/2025 წელი) სტატუსის მაძიებელს აქვს მშობლის წერილობითი ნებართვის შაბლონი, რომელიც წარმოადგენს მშობელთან გაფორმებული ხელშეკრულების ნიმუშის ნაწილს, რომელსაც თან ერთვის მშობლის მიერ შესავსები კითხვარი. კონფედენციალური ინფორმაცია მოიცავს ფოტოებს, ვიდეოებს, ინფორმაციას ჯანმრთელობის შესახებ, დაწესებულების ,,ბავშვზე ძალადობის ,ეჭვის შემთხვევაში მოქმედების მარეგულირებელი წესში

განსაზღვრულია პერსონალური ინფორმაციის შეგროვების, შენახვის, გამოყენების,გამჟღავნების, განკარგვისა დაკონფედენციალურობის დაცვის პროცედურები. აღნიშნულს ადასტურებს აღმზრდელთან ინტერვიუ, მათ იციან ,რომ ინფორმაციის გაზიარება ბავშვის საუკეთესო ინტერესებს უნდა ემსახურებოდეს.ასევე კონფედინციალურობის დაცვა აყალიბებს ნდობას თანამშრომლებთან. სტატუსის მაძიებელს აქვს მშობლის წერილობითი ნებართვის შაბლონი, რომელიც წარმოადგენს მშობელთან გაფორმებული ხელშეკრულების ნაწილს . რომელსაც თან ერთვის მშობლის მიერ შესავსები კითხვარი.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

რეკომენდაცია

………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

რჩევა

………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

1. პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მექანიზმი (ბრძ: N187 31/12/2025),
2. ბავშვის ფიზიკური და ემოციური უსაფრთხოების ,გარემოსთან უმტკივნეულო ადაპტაციის და ტრანზაციის პროცესისი მარეგულირებელი წესი (ბრძ: N 186 31/12/2025 )
3. ,,ბავშვზე ძალადობის ეჭვის შემთხვევაში მარეგულირებელი წესი’’ (ბრძ: N183 31/12/2025 წელი,
4. რეფერირებაზე პასუხისმგებელი პირების პასუხისმგებელი პირების დანიშვნის ბრძანება ( ბრძ: N185 31/12/2025
5. შესაბამისობის გეგმა
6. გაერთიანების და დაწესებულების პერსონალთან ინტერვიუ

| შეფასება: |
|---|

| 4.6 ფიზიკური და ემოციური უსაფრთხოება | | | |
|---|---|---|---|
| შეესაბამება ☐ | მეტწილად შეესაბამება ☒ | ნაწილობრივ შეესაბამება ☐ | არ შეესაბამება ☐ |

## 4.7. ფინანსური რესურსი

## 4.7.1. დაწესებულება ფინანსურად მდგრადია

### 1. დაწესებულების ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

სტატუსის მაძიებელს აქვს ფინანსური რესურსი, რაც დასტურდება ა(ა)იპ სენაკის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის გაერთიანების 2026 წლის წარმოდგენილი ბიუჯეტით,რომელიც დამტკიცებულია სენაკის საკრებულოს მიერ 2025 წლის 24 დეკემბრის N 25 დადგენილებით .სკოლამდელი აღზრდის გაერთიანებამ ბიუჯეტი დაამტკიცა აღნიშნული დადგენილებისა და მუნიციპალიტეტის მერის წერილის N40-40256410 30/12/2025 საფუძველზე N180 ბრძანებით 2025 წლის 10 დეკემბერს. ყოველწლიური ბიუჯეტი იგეგმება გაერთიანების მიერ, დამფუძნებლის ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ გამოყოფილი სუბსიდიის ფარგლებში. ბიუჯეტი დაგეგმილია მუხლობრივად საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით. გაერთიანების პერსონალთან ინტერვიუს საფუძველზე ასევე დასტურდება, რომ საჭიროებიდან გამომდინარე შესაძლებელი გახდება ბიუჯეტში ცვლილების შეტანა და გადამტკიცება, რაც ხელს შეუწყობს დაწესებულების სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის მიზნების შესრულებას. იმ შემთხვევაში თუ საპროგნოზო ბიუჯეტი ვერ შესრულდება ,როგორც დაგეგმილი იყო ,დაწესებულება შეადარებს წლის ბოლოს ფაქტობრივ ბიუჯეტს და მომავალი წლის ბიუჯეტს გახდის უფრო რეალისტურს. .ბიუჯეტში ცვლილების შეტანა მოხდება საჭიროებისა და მოთხოვნის შესაბამისად, ფაქტობრივი ხარჯის და სამოქმედო გეგმაში გაწერილი აქტივობების მიხედვით, რასაც ადასტურებს გაერთიანების ადმინისტრაციასთან და საფინანსო დარგის სპეციალისტთან ინტერვიუ. გაერთიანების პერსონალთან ინტერვიუს შედეგად ასევე დასტურდება , რომ სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმაში ასახული მიზნებისა და აქტივობების შესრულების მიზნით გათვალისწინებული ხარჯები, აისახება ბიუჯეტში.

აღნიშნულიდან გამომდინარე სტანდარტის ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………

რეკომენდაცია

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………

რჩევა

.....................................................................................................................................................................................................................................
.....................................................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....................................................................................................................................................................................................................................
.....................................................................................................................................................................................................................................

## 2. დაწესებულების ბიუჯეტში ფინანსური რესურსების განაწილება უზრუნველყოფს კურიკულუმით განსაზღვრული მიზნების მიღწევას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ 2025 წლის 24 დეკემბრის N 25 დადგენილებით დამტკიცებულ ა(ა)იპ სენაკის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის გაერთიანების ბიუჯეტით იკვეთება, რომ გაერთიანებას არ აქვს გამოყოფილი თანხა სათამაშოების, სახელმძღვანელოების, სასწავლო მასალების შესაძენად. ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილი არ ითვალისწინებს გაერთიანების მიერ დამტკიცებული კურიკულუმის განხორციელების უზრუნველყოფისთვის საჭირო რესურსებს.რესურსის შეძენა/ განახლების უწყვეტ ხელმისაწვდომობას. შესაბამისად დაწესებულების არსებულ ბიუჯეტში ფინანსური რესურსების განაწილება ვერ უზრუნველყოფს კურიკულუმით განსაზღვრული მიზნების მიღწევას. (სათამაშოები, განმავითარებელი რესურსები,საგანმანათლებლო მასალები, ჯგუფის და ეზოს ინვენტარის შეძენას)

აღნიშნულიდან გამომდინარე სტანდარტის ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.

.....................................................................................................................................................................................................................................
.....................................................................................................................................................................................................................................

რეკომენდაცია

ინდიკატორის დაკმაყოფილების მიზნით, კურიკულუმით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად დაწესებულებამ უზრუნველყოს ბიუჯეტში ფინანსური რესურსების გადანაწილება

.....................................................................................................................................................................................................................................
.....................................................................................................................................................................................................................................

რჩევა

.....................................................................................................................................................................................................................................
.....................................................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, ინდიკატორის დაკმაყოფილების მიზნით დაწესებულება უზრუნველყოფს: არსებულ ბიუჯეტში ქვემუხლის ჩამატებას,კურიკულუმის საგანმანათლებლო რესურსის შეძენისთვის. შეუსაბამობის აღმოფხვრის ვადად განისაზღვრა 12 თვე (მეტწილი) აღნიშნული შესაბამისობის გეგმა უზრუნველყოფს შეუსაბამობის სრულად აღმოფხვრას.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია.

........................................................................................................................................................................................................

........................................................................................................................................................................................................

## 3. დაწესებულებას აქვს ფინასური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებამ ვერ წარმოადგინა ფინანსური რესურსებისთვის დაგეგმვის, განკარგვის და მონიტორინგის მექანიზმი, თუმცა გაერთიანების პერსონალთან ინტერვიუთ დასტურდება, რომ დაწესებულება ახორციელებს დაგეგმვის, განკარგვის და მონიტორინგის სისტემას რომელიც ასევე დასტურდება გაერთიანების მიერ წარმოდგენილი შესყიდვის დოკუმენტაციით, სასაქონლო ზედნადებებით( ელ-0948796374, ელ-0946596974 , ელ-0807174089, ელ- 0936027366)

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

........................................................................................................................................................................................................

........................................................................................................................................................................................................

რეკომენდაცია

........................................................................................................................................................................................................

........................................................................................................................................................................................................

რჩევა

სასურველია დაწესებულებამ შეიმუშაოს ფინანსური რესურსებისთვის დაგეგმვის, განკარგვის და მონიტორინგის მექანიზმი

........................................................................................................................................................................................................

........................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

........................................................................................................................................................................................................

........................................................................................................................................................................................................

ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲮᲐᲠᲘᲡᲮᲘᲡ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲪᲔᲜᲢᲠᲘ
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

1.სენაკის საკრებულოს მიერ 2025 წლის 24 დეკემბრის N 25 დადგენილება ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ
2 სენაკის . მუნიციპალიტეტის მერის წერილის N40-40256410 30/12/2025 საფუძველზე სკოლამდელი აღზრდის გაერთიანების ბიუჯეტის დამტკიცება N180 ბრძანებით 2025 წლის 10 დეკემბერს.
3.შესყიდვის დოკუმენტაციით, სასაქონლო ზედნადებებით( ელ-0948796374 . ელ-0946596974 ელ-0807174089. ელ- 0936027366 )
4. გაერთიანების საფინანსო სამსახურის და შესყიდვების სპეციალისტებთან ინტერვიუ

| შეფასება: | | | |
|---|---|---|---|
| **4.7 ფინანსური რესურსი** | | | |
| შეესაბამება ☐ | მეტწილად შეესაბამება ☒ | ნაწილობრივ შეესაბამება ☐ | არ შეესაბამება ☐ |

## ნაწილი IV. დანართების სახით წარმოსადგენი დოკუმენტების ჩამონათვალი

| 1. სავალდებულო დანართის დასახელება | |
|---|---|
| ვიზიტის დღის წესრიგი | |
| 4.3. კომპონენტით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასების კითხვარი | |
| 4.4. კომპონენტით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასების კითხვარი | |
| 4.5. კომპონენტით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასების კითხვარი | |
| დანართის N | 2. სხვა დანართის დასახელება |

| | |
|---|---|
| 1 | |
| 2 | |
| 3 | |

<u>თარიღი</u> 01/06/2026 წელი

| <u>ხელმომწერი</u> | <u>სახელი გვარი</u> | <u>ხელმოწერა</u> |
|---|---|---|
| ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე | მაკა ჭყონია |  |
| *ხარისხის ექსპერტი* | | |
| **ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრები** | | |
| *კურიკულუმის ექსპერტი:* | თეა ქემოკლიძე |  |
| *კვების დარგში ექსპერტი:* | მარიამ ექვთიმიშვილი |  |

*სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების ექსპერტი:* სალომე ბოჭორიშვილი



| | |
|---|---|
| **4.3. კომპონენტით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასების კითხვარი** | დანართი №1 |

| | |
|---|---|
| საფირმო სახელწოდება: ა(ა)იპ „სენაკის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის გაერთიანება"<br>პროგრამ(ებ)ის განხორციელების ადგილის სახელწოდება (არსებობის შემთხვევაში): სენაკის მუნიციპალიტეტის სოფელ გეჯეთის საბავშვო ბაღი | ბრძ: MES 7 26 0000304917 12/03/2026 წელი<br>ბრძ: MES 7 26 0000347640 23/03/2026 წელი |
| პროგრამ(ებ)ის განხორციელების ფაქტობრივი მისამართი: სენაკის მუნიციპალიტეტი, სოფელი გეჯეთი,მე-2 ქუჩა ,N1<br>(მუნიციპალიტეტი, ქალაქი/დაბა/სოფელი/ქუჩა და N) | ვიზიტის თარიღი: *7-8 აპრილი 2026 წელი* |

კრიტერიუმი 4.3.1. დაწესებულების მატერიალური რესურსი გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ ბავშვთა რაოდენობას

| N | ინდიკატორი | შესაბამება | მეტწილად შესაბამება | ნაწილობრივ შესაბამება | არ შესაბამება | დასტურდება (მტკიცებულებები):<br>კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | დაწესებულება უზრუნველყოფს სააღმზრდელო-საგანმანთლებლო საქმიანობისთვის საჭირო ინფრასტრუქტურას მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი ბავშვთა რაოდენობის გათვალისწინებით | ☐ | ☐ | ☑ 1 | ☐ | 1. ამონაწერი საჯარო რეესტრიდან საკადასტრო კოდი 44.14.21.313 04/07/2023 წელი<br>2. მიმართვა მუნიციპალიტეტის მერის სახელზე შენობის მდგრადობის შესახებ შესახებ: წერილის ნომერი N10 12/02/2026 წელი<br>3.გაერთიანების დირექტორის ბრძანება( N174 29/12/2023 წელი ),,ბავშვთა ზღვრული რაოდენობის მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ"<br>5.ვიზუალური დათვალიერება<br>6.გაერთიანების დირექტორთან და ბაღის ადმინისტრაციასთან ინტერვიუ<br>7.გაერთიანების დირექტორის ბრძანებით( N 37 თარიღი: 29/12.2025 ) განსაზღვრული ,,კურიკულუმიის განსახორციელებლად მინიმალური საგანმანათლებლო რესურსების ნუსხა"<br>8. დაწესებულების შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა (დაწესებულებას არ აქვს სახანძრო უსაფრთხოების ამსახველი დოკუმენტი.12 თვე)<br>9.დაწესებულების შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა. (.დაწესებულებას არ აქვს საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა შეთანხმებული უფლებამოსილ ორგანოსთან.12 თვე ) 10 .ფოტომასალა |
| 2 | დაწესებულება აკმაყოფილებს ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების შენობის ინფრასტრუქტურისა და მატერიალური რესურსების მიმართ კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს | | | | | |
| 3 | დაწესებულებას შემუშავებული აქვს ბავშვთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია, რომელიც ითვალისწინებს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს | | | | | |

## შესაბამისობის კითხვარი

| N | შეფასების ინდიკატორი | შესაბამება | მეტწილად შესაბამება | ნაწილობრივ შესაბამება | არ შესაბამება | ინდიკატორის შესაბამისობის აღწერა | რეკომენდაცია | რჩევა | არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **1** | **დაწესებულება უზრუნველყოფს სააღმზრდელო-საგანმანთლებლო საქმიანობისთვის საჭირო ინფრასტრუქტურას მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი ბავშვთა რაოდენობის გათვალისწინებით;** | | | | | | | | |
| | დაწესებულებას აქვს ამონაწერი საჯარო რეესტრიდან | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | დაწესებულებას აქვს ამონაწერი საჯარო რეესტრიდან:საკადასტრო კოდი: 44.14.21.313 04/07/2023 წელი, რომლის მიხედვით უზურფრუქტუარია ა(ა)იპ სენაკის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის გაერთიანება 239892434) დაწესებულებამ წარმოადგინა ,აზომვით ნახაზი, რომელიც შედგენილია შპს გეომეფის მიერ 2016 წელს. დაწესებულებას არ აქვს დოკუმენტი შენობა-ნაგებობის ტექნიკური მდგომარეობის შესახებ და წარმოდგენილი აქვს წერილი მუნიციპალიტეტის მერის სახელზე (წერილი N10 12/02/2026წელი ). დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს შესაბამისობის გეგმა 12 თვის ვადით. ასევე შენობა-ნაგებობის ტექნიკური მდგომარეობის და სახანძრო უსაფრთხოების შესაბამისი დოკუმენტის შესახებ წარმოდგენილი აქვს შესაბამისობის გეგმა 12 თვის ვადით დაწესებულებას არ აქვს უფლებამოსილ ორგანოსთან შეთანხმებული და დამტკიცებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა .წარმოდგენილი აქვს შესაბამისობის გეგმა 12 თვის ვადით. | ინდიკატორის დაკმაყოფილებისთვის დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს და უზრუნველყოს შესაბამისობის გეგმაში გაწერილი აქტივობების ჯეროვნად შესრულება. | | |
| | დაწესებულებას აქვს შენობა-ნაგებობის სქემა | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | დაწესებულებას აქვს დოკუმენტი შენობა-ნაგებობის ტექნიკური მდგომარეობის დადგენის შესახებ (გაცემული შესაბამის სფეროში აკრედიტებული ორგანოს ან სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ) | ☐ | ☑ | ☐ | ☐ | | | | |
| | დაწესებულების აქვს მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ | ☐ | ☑ | ☐ | ☐ | | | | |
| **2** | **დაწესებულება აკმაყოფილებს ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების შენობის ინფრასტრუქტურისა და მატერიალური რესურსების მიმართ კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს** | | | | | | | | |
| **2.1.** | დაწესებულებას აქვს შენობის ექსპლუატაციაში მიღების შესახებ უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული აქტი (მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მშენებლობის ნებართვა გაიცემულია 2023 წლის 21 თებერვლის შემდეგ) | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | დაწესებულება აშენდა 2020 წელს | | | |
| **2.2.** | **მოთხოვნები დაწესებულების შენობა-ნაგებობის მიმართ** | | | | | | | | |
| | დაწესებულება განთავსებულია პირველ, პირველ და მეორე, პირველ, მეორე და მესამე სართულზე | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | დაწესებულება არის ერთსართულიანი . შესაბამისად ჯგუფის ოთახები განთავსებულია პირველ სართულზე. | | | |
| | ჯგუფური ოთახები განთავსებულია პირველ ან/და მეორე სართულზე | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | **მესამე სართულზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში) განთავსებულია:** | | | | | | | | |
| | ადმინისტრაციული სამყოფები | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | ღია სარეკრეაციო სივრცეები | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | გარე სივრცე ფიზიკური აქტივობებისთვის | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | სასკოლო მზაობის ჯგუფ(ებ)ი | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | **მესამე სართულზე სასკოლო მზაობის ჯგუფების განთავსების შემთხვევაში:** | | | | | | | | |
| | ამავე სართულზე განთავსებულია სანიტარული კვანძ(ებ)ი ბავშვებისათვის | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | მესამე სართულის კიბის უჯრედს კიბის დასაწყისში აქვს დამცავი ბარიერი | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| **2.3.** | **დაწესებულებაში, შიდა და გარე ტერიტორიაზე, განთავსებულია შემდეგი სავალდებულო სივრცეები:** | | | | | | | | |
| | ჯგუფური ოთახ(ებ)ი ან/და კურიკულუმის მეთოდოლოგიიდან გამომდინარე - საერთო სივრცე, ამასთან ყველა ჯგუფი უზუნველყოფილია ინდივიდუალური ჯგუფრი ოთახით ან კურიკულუმის მიზნებიდან გამომდინარე შერჩეული საერთო სივრცით ბავშვზე არანაკლებ 2კვმ. | ☐ | ☐ | ☑ | ☐ | | | | |
| | საძინებელი ოთახი/მოსასვენებელი სივრცე | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |

| | | | | | | | | | |
